გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთია

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№94 (989) 6 - 7 ოქტომბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ლიტო ველოვანი

წრეში ბურთი უბურთოდ

ის, რაც ცდებოდა წინა კვირაში

ბინა, რომელშიც გიორგი პაპუაშვილი ცხოვრობს, ნაციონალებმა ასლან აბაშიძის ჩინოვნიკს წაართვეს

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის „ვაროდსნული“ ცოდვები — როლანდ ბლადაძის საქმეზე „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ სკანდალური დასკვნა დადეს

გვ. 6-7

გლდანის ციხეში 28 წლის უდანაშაულო პატიმარს სათესლე ჯირკვლის კიბო დამართეს

გვ. 8

პატიმრის დღიური

დაზღვევა გაიაფდება?!

გვ. 7

ჩვენებური, რომლის ინიციატივითაც თურქეთის სკოლებში ქართული ენის სწავლება დაიწყო

გვ. 8

ერთვინელი ედდარ ქუჩუკის თურქულ-ქართული თავგადასავალი

„ნაციონალებმა ხელისუფლება მერაბიშვილის ცოლისა და მისნაირების ვნებებს გადააყოლეს!“

რატომ ეცოდება ვანო მერაბიშვილი და ზურა ადეიშვილი და რით ხსნის სანდრო ბრეგაძე „ოცნების“ რეიტინგის კლებას

გვ. 5

„ხელისუფლებაში სააკაშვილის დაბრუნება გარდაუვალია!“

გვ. 3

„ითქვა, რომ ქალთა კოლონიაში ბუნტი სისხლით ჩავახშე და ასობით ქალის გვამი იქვე დავმარხე. სად არის ეს გვამები? რეალურად, ერთ ქალ პატიმარს ერთი ნაკაწრიც არ ჰქონდა. თურმე, მილიონიან პრემიებსაც ვიწერდი, იარაღს ვარიგებდი, სამხედროებზე ბინებს არასწორად ვანაწილებდი... იგივე ინფორმაცია ვრცელდებოდა დანარჩენ ყოფილ მინისტრებზეც. ხომ ამბობდნენ, რომ მილიონერები ვართ. სად არის ეს მილიონები, რომელ ბანკში ვინახავთ? 21-ე საუკუნეში ერთ თეთრსაც ვერ დამალავ, რომ აშშ-ს, ან ევროპის საფინანსო ორგანოებმა ინფორმაცია არ მიიღონ“

დიმიტრი შაშკინის თქმით, ბოლო ორი წელია, ქვეყანა „დაპაუზებულია“

წრეში ბურთი უბურთოდ

დიტო გელოვანი

როდესაც რომელიმე დიდი ადგილი გათავისუფლდება ვინმეს გარდაცვალების ან დაქვეითების გამო (ეს უკანასკნელი ხშირია), თანამდებობის ხუთი ან ექვსი მაძიებელი იმპერატორს მიართმევს თხოვნას, რათა მისმა ბრწყინვალებამ და სასახლემ მათ თოკზე ცეკვის ნება დართონ. ამგვარად, ის, ვინც ყველაზე მაღლა ახტება და თოკიდან არ ჩამოვარდება, სასურველ თანამდებობას მიიღებს. ხშირად დიდ-დიდ მინისტრებსაც უბრძანებენ, გამოავლინონ თავიანთი ოსტატობა და ამით დაარწმუნონ მისი უდიდებულესობა, რომ ეს უნარი დაკარგული არა აქვთ.

(ჯონათან სვიფტი, „გულივერის მოგზაურობა“)

თითქმის ექვსი თვეა, აღარ დამიწერია „ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში“, არადა, ექვს თვეში ოცდაოთხ კვირაზე მეტია და თუ კვირებს საათებში გადავიყვანთ, საათს წუთებში, ხოლო წუთებს — წამებში, მივიღებთ უამრავ წამს, რომელთა შორისაც ძნელად თუ გაგახსენდება ისეთი, რომლის შეჩერებასაც მოინდომებ. ისე, რომც მოინდომო, რა ხეირი? დრო იმისია, რომ მიდის და ჩვენც მივდივართ, წრეზე ვტრიალებთ და ისე მივდივართ, ესე იგი, ჩვენ არსადაც არ მივდივართ. მიდის წრე და ჩვენც მივყვებით. წრეში ბურთი — ასე ჰქვია ამ თამაშს. ბურთს არავინ გაწვდის — ჯერ პატარა ხარ. მერე, ბურთს ისევ არ გაწვდიან — რაღა დროს შენი ბურთიაო, და ბოლოს ხვდები, რომ თავად ხარ ბურთი და გაბურთავებენ.

ჯერჯერობით, ასეა. ოქრო-ოთარას კეპკიანი პადძელნიკისა არ იყოს — ძირითადად ეგრეა. კადრები წყვეტს ყველაფერს — ყოველთვის ასე იყო, მაგრამ აქ და ახლა ის კადრები წყვეტს ყველაფერს, „ფარულ ჩანაწერებად“ რომ მოინათლა. ფარული ჩანაწერები რომ არა... ეჰ, რამდენი რამ არ იქნებოდა ასე აშკარად და თავხედურად, მაგალითად — ზონა, რომელიც საკუთარ თავს „თავისუფალს“ უწოდებს.

ამასობაში კი, ორი წელი გასულა და ნაცქოცების დაძაბულ-აკადემიური დისკუსიების შემხედვარე, ერთი ანეკდოტი მახსენდება. მეგრელი ეუბნება რაჭველს: „მოდი, კუკუდამალობანა ვითამაშოთ...“ „როგორ?“ — აინტერესებს რაჭველს. „როგორ და, მე მოვკუკავ, შენ დამალე“.

ვინ ვის მოკუკულს მალავს და რატომ მალავს — ვხედავთ და ვხვდებით. იმათ მოკუკეს, ამათ დამალეს, რადგან ამათაც ჰქონდათ მოკუკული, ხოლო იმათ ფარულად გადაიღეს და რა გინდა, რომ ქნა? ორი ბოროტებიდან უმცირესს ირჩევენ ხოლმე, ანუ მხარში დავუდგეთ მას, ვისაც ბევრი არ მოუკუკავს.

რავარი დასათვლელია? დავსხდეთ ახლა ეს სამი თუ ოთხი მილიონი კაცი და ვიღაცის მოსქამებული ვთვალოთ, ვზომოთ და ვწონოთ, მაგრამ სად გინახავთ, რომ მეწისქვილე ფქვილში არ იყოს ამოგანგლული?

უნდა გაცოფდე. თუ არ გაცოფდები, გული გაგისკდება.

მცირე სტატისტიკა: მსოფლიოში ცოფით ყოველწლიურად დაახლოებით 60 000 ადამიანი იღუპება. გარდაცვლილთა 40% 15 წლამდე ასაკის მოზარდია. დაავადების შემთხვევები მსოფლიოს 150-ზე მეტ ქვეყანაში ფიქსირდება. მიუხედავად იმისა, რომ ცოფის პროფილაქტიკაზე საქართველო ევროპის რეგიონში ყველაზე მეტ რესურსს ხარჯავს, საქართველოში ცოფით 2013 წელს — ოთხი, 2014 წელს კი ორი ადამიანი გარდაიცვალა.

გასული კვირა სწორედ ჩვენზე იყო ზედგამოჭრილი.

„ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია დღეს გულის მსოფლიო დღეს აღნიშნავს, გუშინ კი — ცოფის მსოფლიო დღე აღინიშნა. ამასთან დაკავშირებით, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში გაიმართება პრესკონფერენცია, რომელსაც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სურსათის ეროვნული სააგენტოს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი პირები, ასევე, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისის წარმომადგენლები და დარგის ექსპერტები დაესწრებიან“, — იუწყებოდა სააგენტო, რომელთანაც მრავალწლიანი მეგობრობა მაკავშირებს.

საერთოდ, არ არის ცუდი, მსოფლიო მარაქაში რომ ვერევით და ჩახუტების დღე რომ ჩახუტების დღეა, ისიც კი არ ჩაივლის ხოლმე უჩვენოდ და ცოფის მსოფლიო დღემ რაღა დააშავა?! მაგრამ, ეროვნულიც საჭიროა, საჭიროა ადგილობრივი, ენდემური, მშობლიური, მხოლოდ ჩვენთვის დამახასიათებელი შტრიხებით და თავისებურებებით, ანუ საჭიროა, დაწესდეს „ეროვნული ცოფის დღე“, ხოლო იმდენად, რამდენადაც ეს სახელწოდება მთლად კარგად ვერ ჟღერს, გარკვეული ქვეტექსტების თავიდან ასაცილებლად გთავაზობთ, რომ ამ დღეს დაერქვას „ეროვნული გაცოფების დღე“.

ახლა, საჭიროა, დავაწესოთ თარიღიც.

„თავისუფალი ზონის“ ოფისის წინ მიმდინარე აქციაზე, „თავისუფალი თაობის“ წევრებმა წყლით სავსე პრეზერვატივები ისროლეს. როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობა წორედ ასე უნდა შეფასდეს. „სწორედ ამის ღირსები ხართ თქვენ“, — აღნიშნა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ. „თავისუფალი თაობის“ აქციის ორგანიზატორებმა აქტივისტებს დაშლისკენ მოუწოდეს, თუმცა ადგილზე ისევ რჩებიან სამართალდამცავები. საპატრულო პოლიციის თანამშრომლები პეკინზე გადაკეტილი გზის გახსნას ცდილობენ. „თავისუფალი თაობა“ „თავისუფალი ზონის“ წევრების მიერ ჟურნალისტ ზაზა დავითაიას ცემის ფაქტს აპროტესტებს, რომელიც ორი დღის წინ მოხდა“, — იტყობინებოდა 2 ოქტომბერს „ინტერპრესნიუსი“.

2 ოქტომბერი... რატომაც არა? გაივლის ერთი წელი და 2015 წლის 1 ოქტომბერს ჩემი მეგობარი სააგენტო ასეთ ნიუსს შემოგვთავაზებს: „დღეს საქართველოში ნაცხროვისგან გათავისუფლებას ზეიმობენ, ხვალ კი ეროვნული გაცოფების დღე აღინიშნება“.

ეს იქნება ერთი წლის შემდეგ, ახლა კი, საინტერესოა ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში.

ჩემი აზრით, ყველაზე კარგი (ადეკვატური, სენსიტიური და რელევანტური), რაც გასულ კვირაში მოხდა, იყო ის, რაც ზემოთ უკვე გითხარით, მაგრამ მეც, თქვენი არ იყოს, ძალიან მიყვარს საყვარელი წიგნების გადაკითხვა და ამასაც კიდევ ერთხელ გადავიკითხავ და თქვენც გადაგაკითხებთ: „თავისუფალი ზონის“ ოფისის წინ მიმდინარე აქციაზე, „თავისუფალი თაობის“ წევრებმა წყლით სავსე პრეზერვატივები ისროლეს. როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, ნაციონალური მოძრაობის მმართველობა სწორედ ასე უნდა შეფასდეს. „სწორედ ამის ღირსები ხართ თქვენ“, — აღნიშნა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ“.

წრეში ბურთი და ბურთს არ გვაწვდიან-მეთქი და ეს ის შემთხვევაა, როცა სათადარიგო შემადგენლობა ძირითადში თამაშს იმსახურებს. სათადარიგო შემადგენლობაში „თავისუფალ თაობას“ ვგულისხმობ, თორემ „თავისუფალი ზონა“ დიახაც რომ ძირითადი მოთამაშეებით იყო წარმოდგენილი — წაკლანუგზარა იქნებოდა ეს თუ სქელი-ხათუნა. ესენი და სხვებიც, რომც არ დაგვენახა, ტაქტიკური სქემით მაინც მივხვდებოდით, ვინ არის ვინ, ანუ — ვინ არის ხუ. რას ვგულისხმობ? ხომ გახსოვთ, როგორ იზეიმეს ომში დამარცხება? „მაპზე უკეთესიც“ ხომ გახსოვთ? ჰოდა, ერთხელ არჩეულ ტაქტიკას ბოლომდე მიყვებიან. კერძოდ, „თავისუფალი ზონის“ ფანჯრებში შევარდნილი პრეზერვატივები ნუგზარ წიკლაურმა სათითაოდ წამოკრიფა, რამდენჯერმე გადათვალა და სიამოვნებით აკანკალებულმა განაცხადა, „თავისუფალ ზონას“ 55 ახალი წევრი შეემატაო.

„ნაც-ანალი“ — ეს არის ნაციონალის სინონიმი. ხალხი „თავისუფალი ზონის“ წევრ პრეზერვატივებსაც სინონიმით მოიხსენიებს. განა დონაძე (გურგენი) ამას არ იმსახურებს?

„შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი ბესო ზანგური „ფეისბუქზე“ ფიზიკური ანგარიშსწორებით მემუქრება და მძიმედ შეურაცხმყოფს! მის აღვირახსნილ ქმედებებს მხარს უბამს ვინმე გიორგი თხელიძე. მოვუწოდებ სამართალდამცველ ორგანოებს, განახორციელონ კანონით გათვალისწინებული ზომები ამ უკანასკნელთა მიმართ!“, — ვინმე ადვოკატმა ზაქარეიშვილმა „ფეისბუქის“ საკუთარი გვერდი ამ ჩანაწერით გაამდიდრა.

მინდა გითხრათ, რომ შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობ ბესო ზანგურს და „ვინმე“ გიორგი თხელიძეს მხარს უბამს ვინმე დიტო გელოვანი, მისი მეგობრები, მისი მეგობრების მეგობრები... მოკლედ, ევო, ევო, ევო ატეც და სხვაც კიდევ ბევრი.

მაშ როგორ, ჩვენ ხომ გაცოფებული ჯარისკაცები ვართ!

გასულ კვირაში ჩვენი დამშვიდება კახა კალაძემ სცადა: „მე დღეს ამაყი ვარ იმით, რომ ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქე არის დაზღვეული და დაცული. ღმერთმა ნურასდროს, ნურავის დააჭირვოს ექიმი და საავადმყოფო, მაგრამ უნდა იცოდეს, რომ ეს მომსახურება მათთვის უფასოა“.

ცდა ბედის მონახევრეაო, მაგრამ ბედი ხომ გინდა? ისე მოხდა, რომ კალაძის მშვიდ და ამაყ გამოსვლას ჩემი მეგობრის, ჟურნალისტ თეონა მანაგაძის გაცოფება მოყვა: ექიმების სახე კი გუშინ კიდევ ერთხელ ვიხილე... ექიმის ნაცვლად, ორი საათის მანძილზე, წამალს მეგობარი მასმევდა და აკანკალებული გულზე მას ვყავდი მიკრული... ამ დროს, ექიმ სოფოს ჩემთვის არ ეცალა... ექიმის ნახვაში 190 ლარი მომთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სოფომ მითხრა, ექიმი არ მოვიდოდა... ექიმი სოფო ტელეფონზე „ხმას“ ესაუბრებოდა და ჩემთვის არ ეცალა...სხვათა შორის, ჩემთვის იმ პოლიტოკოსმაც ვერ მოიცალა, რომელიც პარლამენტის ტრიბუნიდან იმის თაობაზე „გვმოძღვრავდა“ თუ როგორი მაგარი ჯანდაცვის სისტემაა საქართველოში... გუშინ კიდევ ერთხელ „შევიგრძენი“ ქართული ჯანდაცვის სისტემის სიტკბოება! ბატონებო, ტრიბუნებთან იკეკლუცეთ, მაგრამ დაიმახსოვრეთ, ტრიბუნები მალე ცვდება და მხოლოდ ადამიანობა რჩება“.

მძიმე სურათია... ვის უნდა დაუჯერო, სამშობლოს მთავრობის ვიცე-პრემიერს თუ თეონა მანაგაძეს, რომელსაც ერთხელაც არ მოუგია ჩემპიონთა ლიგა? მე თეონასი მჯერა. კალაძეს რაღაც ეშლება. შეცდომებისგან ისევე, როგორც ავტოგოლებისგან, არავინაა დაზღვეული. კალაძე ერთხელ ნოღაიდელში შეცდა, ახლა შარანგია-მაქაცარიებში ცდება და როდის გაასამებს, ღმერთმა იცის.

ეს თავგადასავალი თეონა მანაგაძეს ქუთაისში გადახდა, პარლამენტიდან რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით. პარლამენტი ის დაწესებულებაა, სადაც მიდი-მოდიან, ლაპარაკობენ და არაფერს აკეთებენ, ხანდახან ისეთი ამბებიც ხდება, რომ პატიოსან დეპუტატს საკანონმდებლო ორგანოში მისვლის ხალისი ეკარგება. „იპოთეკარებმა დავით სანგელიძეს და ზურაბ მელიქიშვილს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს“ — ეს სათაურიც ამაზე მეტყველებს. რა თქმა უნდა, სათაური ნიუსს ახლავს:

„ქუთაისში, პარლამენტის შენობასთან შეკრებილი იპოთეკით დაზარალებულები დეპუტატებს სირცხვილის კორიდორს უწყობენ და შეძახილებით აცილებენ. როგორც „ინტერპრესნიუსის““ კორესპონდენტი ქუთაისიდან იტყობინება, იპოთეკით დაზარალებულები ამბობენ, ხელისუფლება არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მათი პრობლემა გადაიჭრას. აქციის მონაწილეებმა ასევე შეძახილებით შეაცილეს პარლამენტის შენობაში უმცირესობის დეპუტატი ზურაბ მელიქიშვილი. მას იპოთეკით დაზარალებულებმა ღორი უწოდეს. აქციის მონაწილეების თქმით, ნაციონალური მოძრაობის წევრები წორედ მათ ხარჯზე გამდიდრდნენ“.

მაპატიეთ, იპოთეკით დაზარალებულო პატივცემულო მოქალაქეებო, მაგრამ ღორი ნაფცქვენებით იკვებება და ტალახში ნებივრობს. როგორ ფიქრობთ, ზურაბ მელიქიშვილმა კიტრის ნათალზე აიყარა ტანი თუ ხათუნა გოგორიშვილს ეტყობა რამე უსახლკარობისა და უაგარაკობისა? რამდენადაც ვიცი, ცხოველსაც აქვს უფლებები და რომ ადგეს რომელიმე საშუალოსტატისტიკური ღორი და რომ გიჩივლოთ (მელიქიშვილის წაქეზებით, ადვოკატი — ოთო კახიძე), მერე სად მიდიხართ?

რაც შეეხება საგანელიძეს და საპარლამენტო უმცირესობას, მათთვის ჯერ ღორები არავის უწოდებია. მათთან მხოლოდ ერთი პრეტენზიაა — ორი წელი გავიდა და ქურდები ისევ ქურდობენ, მათხოვრები მათხოვრობენ, ღორები ღორობენ, ძაღლები ყეფენ, ქარავანი კი ტაატით აგრძელებს გზას.

ასეთი აქციები მართლაც რომ ხალისს დაგიკარგავს, აღარც პარლამენტი გინდა და აღარც კანონშემოქმედებითი საქმიანობა.

„გასული ერთი წლის განმავლობაში გივი თარგამაძე არ დასწრებია ქუთაისში გამართულ 107 საკომიტეტო სხდომას. ლევან ბეჟაშვილს გაცდენილი აქვს 92 სხდომა, გიორგი ღვიანიაშვილს – 92 სხდომა, პაატა ლეჟავას – 91 სხდომა, ნიკოლოზ ყიფშიძეს – 88 სხდომა, გიორგი ვაშაძეს – 87 სხდომა, მარიამ საჯაიას – 87 სხდომა, დავით საყვარელიძეს – 86 სხდომა, აკაკი მინაშვილს – 83 სხდომა, ზურაბ ჯაფარიძეს – 82 სხდომა, პავლე კუბლაშვილს – 80 სხდომა და ასეშემდეგ — ასეთია დავით უსუფაშვილის მიერ გამომზეურებული სტატისტიკა.

უსუფაშვილის თქმით, ამ მიმართულებით პირველი 40 ადგილი ოპოზიციას უჭირავს და... ნეტა, ვინ არის ის ორმოცდამეერთე ახალგაზრდა, ქვაზე რომ სძინავს? ნანა ყეენიშვილი? გუგული მაღრაძე? გია გაჩეჩილაძე? გოგი ქავთარაძე?

რას გაიგებ...

არადა, გაგებაა მთავარი... მთავარია გაგება!

გასულ კვირაში გავიგე, რომ „ჭიათურაში უცნობმა პირმა, რომელიც დ.ს-ის ოჯახში ოქროულობის გამოძალვის მიზნით შეიჭრა, თეთრეული დაუთოვა. შემთხვევა ღამით 00:30 საათზე მოხდა. „სახლში იარაღით შემოვარდა, ოქროულობას ეძებდა. არ გვაქვს-თქო, — ვუთხარით, მაგრამ ძებნა არ შეუწყვეტია. თეთრეული გადმოანგრია და როცა ვერაფერს მიაგნო უთო ჩართო. ძალიან შეგვეშინდა, შემდეგ კი როცა თეთრეულის დუთავება დაიწყო ყველა გაკვირვებული ვუყურებდით“, — განაცხადა ოჯახის უფროსმა დ.ს-მ.“

აი, ეს მესმის!

„მესმის, მესმის სანატრელი, ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა, სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს დასათრგუნვლად მონობისა, აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა და აღმიგზნებს იმედს გულში, ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში“, — ილია ამ ოცნებით მოკვდა.

ღმერთო, გამაგონე, მთავარი ხომ გაგებაა!

თუ არა და — წრეში ბურთი, უბურთოდ, უკეთეს შემთხვევაში კი — გრძელი ვირი მგლებისა და ღორების შესრულებით.

რ.ა.გ. (რას არ გაიგებ) ლილიპუტები მიცვალებულებს თავისებურად მარხავენ. ცხედარს საფლავში თავით ძირს ჩაუშვებენ ხოლმე, რადგან, მათი აზრით, თერთმეტი ათასი მთვარის შემდეგ ისინი მკვდრეთით უნდა აღდგნენ. ამასობაში დედამიწა (რომელიც, მათი აზრით, წარმოადგენს სიბრტყეს) პირქვე გადაბრუნდება და მიცვალებულებიც, აღდგომის მომენტისთვის მომზადებულები იქნებიან.

(ჯონათან სვიფტი, „გულივერის მოგზაურობა“)

„ხელისუფლებაში სააკაშვილის დაბრუნება გარდაუვალია!“

დიმიტრი შაშკინის თქმით, ბოლო ორი წელია, ქვეყანა „დაპაუზებულია“

ეროსუდან შელია
557-100-768

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან ორი წელი გავიდა, თუმცა „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა საზოგადოებას ისევ წარსულს ახსენებენ: ხელისუფლება წინამორბედის შეცდომებზე საუბრობს, საპარლამენტო ოპოზიცია — 9-წლიანი მმართველობის მიღწევებზე, მოსახლეობა კი იმ მესამე წელიწადის მოლოდინშია, რომელიც, როგორც ბიძინა ივანიშვილმა დაგვიბარა, „ძალიან კარგი“ იქნება და თითოეული მოქალაქე ეკონომიკურ განვითარების შედეგებს საკუთარ თავზე იგრძნობს. თავდაცვის, განათლებისა და მეცნიერების ყოფილ მინისტრ ДИМИТРИ ШАШКИНს მსგავსი მოლოდინი არ აქვს და „ვერსიასთან“ საუბრისას კოალიციის მმართველობის ორწლიან პერიოდს საზოგადოების გამოფხიზლების ეტაპს უწოდებს.

— საპარლამენტო არჩევნებიდან დღემდე, საზოგადოება ნელ-ნელა გამოფხიზლდა და „ქართული ოცნების“ მმართველობასაც თანდათან ადეკვატურად აფასებს. ამ ორი წლის განმავლობაში, ხელისუფლებამ ერთადერთი დაპირება შეასრულა — იმ ყოფილი მაღალჩინოსნების ტოტალური დევნა დაიწყო, რომლებმაც არარსებული წარმონაქმნისგან ინსტიტუციურად ჩამოყალიბებული ქვეყანა შექმნეს.

— ბატონო დიმა, ეს თქვენი სუბიექტური აზრია, ხელისუფლება კი კანონის წინაშე თანასწორობაზე საუბრობს და საზოგადოებას ორწლიანი მმართველობის ანგარიშს აბარებს — თავისუფალი მედია, ევროკავშირთან ასოცირების ისტორიული ხელშეკრულება, საყოველთაო ჯანდაცვა და სოციალური მიმართულებით გაზრდილი დაფინანსება...

— არჩევნებამდე „ქართული ოცნების“ მთავარი დაპირება უმუშევრობასთან ბრძოლა, 100 საწარმოსა და შესაბამისად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა იყო. დღეს რიგითი მოქალაქე სულაც არ ფიქრობს, რომ ეკონომიკურად იმაზე უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე ორი წლის წინ იყო. ეს მხოლოდ ჩემი სუბიექტური აზრი არაა და სხვადასხვა მიმართულების სოციოლოგიური კვლევებიც მოწმობს. საზოგადოებას გაუჩნდა განცდა, რომ ქვეყანა „დაპაუზებულია“. მარტივ მაგალითს დაგისახლებთ: 2006-დან 2012 წლამდე 10 ათასამდე ახალგაზრდას, სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო, სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა, ბოლო ორი წლის განმავლობაში კი ეს რიცხვი 23 ათასით გაიზარდა და დღეს, სტატუსშეჩერებული 33 ათასი სტუდენტი გვყავს. არც ის მახსენდება, რომ 2012 წლამდე პრესასა ან რომელიმე სხვა მედიასაშუალებას პრობლემა შექმნოდა, ყველაფერი გამოგონილი პრობლემა იყო.

— არ მგონია, „იმედში“ სპეცრაზმის შევარდნა და „მაესტროსთან“ მომხდარი აფეთქება „გამოგონილი“ იყოს... ალბათ დროა, პოლიტიკოსებმა მომავალზე ისაუბროთ, ევროპარლამენტარებიც ხომ სწორედ ამას გირჩევენ?

— დასავლეთი მომავალზე საუბარს დიდი ხანია მეგობრულად გვირჩევს... ვაღიარებ, რომ „იმედთან“ დაკავშირებით, მისი მფლობელების გამო, კითხვები გაჩნდა, თუმცა არ მგონია, მედიაზე მხოლოდ ამ შემთხვევას მოეხდინა გავლენა. თუ „მაესტროს“ წინააღმდეგ კონკრეტული მტკიცებულება არსებობდა, ამ მთავრობას მაინც გამოეძიებინა. მიმაჩნია, რომ პოლიტიკოსების უმრავლესობა შეცდომას უშვებს და ამ შემთხვევაში ადამიანური ფაქტორი ჩნდება: რამდენიმე წლის განმავლობაში, მნიშვნელოვან საქმეებს აკეთებ და ქვეყნის აშენებას ცდილობ, ამ დროს კი ხელისუფლებაში მოდის ჯგუფი, რომელმაც შენი წარმატებები გადახაზა, აშენებულის დანგრევას ცდილობს და შენც თავდაცვის რეჟიმში გადადიხარ. „ქართულ ოცნებას“, წარსულზე საუბრით, პასუხისმგებლობის არიდება სურს, რადგან საზოგადოებისთვის სათქმელი არაფერი აქვს. საერთოდ, 2012 წლამდე უამრავი ბრალდება ისმოდა, რომელთა უმრავლესობა ბოლო ორ წელიწადში სრული პროფანაცია აღმოჩნდა.

> **ჩემზეც ამბობდნენ, რომ ყალბ დიპლომებს ვარიგებდი, პედაგოგებს პოლიტიკურად ვდევნიდი და სამსახურიდან ვათავისუფლებდი, თუმცა დღემდე სამსახურში მხოლოდ 12 დირექტორი აღადგინეს, რომლებიც ქრთამის აღებაში იყვნენ ეჭვმიტანილნი. ისიც ითქვა, რომ ქალთა კოლონიაში ბუნტი სისხლით ჩავახშე და ასობით ქალის გვამი იქვე დავმარხე. სად არის ეს გვამები? რეალურად, ერთ ქალ პატიმარს ერთი ნაკაწრიც არ ჰქონდა. თურმე, მილიონიან პრემიებსაც ვიწერდი, იარაღს ვარიგებდი, სამხედროებზე ბინებს არასწორად ვანაწილებდი... იგივე ინფორმაცია ვრცელდებოდა დანარჩენ ყოფილ მინისტრებზეც. ხომ ამბობდნენ, რომ მილიონერები ვართ. სად არის ეს მილიონები, რომელ ბანკში ვინახავთ? 21-ე საუკუნეში ერთ თეთრსაც ვერ დამალავ, რომ აშშ-ს, ან ევროპის საფინანსო ორგანოებმა ინფორმაცია არ მიიღონ.**

— ოფშორებში რეგისტრირებული კომპანიების ანგარიშების წარმომავლობის დადგენაც შესაძლებელია, რომელსაც პროკურატურა ამ დრომდე იძიებს?

— თუ ოფშორებში იანუკოვიჩის ანგარიშები იპოვეს, ნაციონალური მოძრაობის წევრების ანგარიშების ამოქექვა რატომ უნდა გართულებულიყო? ბოლოს და ბოლოს, შვეიცარიის ბანკებმა გაასაჯაროეს ფინანსური ინფორმაცია.

— თქვენი არგუმენტების მიუხედავად, ნაციონალური პარტიის რეიტინგი არ იზრდება და არც იმის ნიშნები იკვეთება, რომ საზოგადოებაში მისდამი დამოკიდებულება უახლოეს მომავალში შეიცვლება. ამის მიზეზებზე პარტიაში არ ფიქრობენ?

— ამიტომაც ვთქვი, რომ პოლიტიკოსები შეცდომას უშვებენ და, პირველ რიგში, ნაციონალურ მოძრაობას ვგულისხმობდი. მუდმივად წარსულზე საუბრით მოსახლეობაც დაიღალა, ხალხს მომავალი სჭირდება და, თუ ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკურ გზავნილებს მომავალზე ააგებს, ისევ წარმატებული პოლიტიკური ძალა გახდება.

— ბატონო დიმა, რა მომავალი უნდა შესთავაზოს საზოგადოებას, მაგალითად, გივი თარგამაძემ, გიორგი ბარამიძემ და ან რომელიმე სხვა „ძველმა სახემ“?

— საზოგადოება, როგორც ნაციონალური მოძრაობის წევრების მიმართ, ასევე „ქართული ოცნების“ იმ სპიკერებისადმი, რომლებიც ტელევიზორში ხშირად ჩნდებიან, ნეგატიურადაა განწყობილი. არ მგონია, პარტიაში ვინმეს საკუთარი რესურსი ამოეწურა, მთავარი ამ რესურსების სწორად გამოყენებაა. ეს არ ნიშნავს, რომ ნაციონალურ მოძრაობას განახლება არ სჭირდება, როგორც კი პარტია მომავალზე საუბარს დაიწყებს, ახალი სახეებიც გამოჩნდებიან.

— ბოლო ორ წელში ისიც კიდევ ერთხელ გამოიკვეთა, რომ ნაციონალური მოძრაობა ქვეყნიდან გაქცეული მიხეილ სააკაშვილის პირადი პარტიაა, ამიტომ ექსპერტთა ნაწილი ეჭვობს, რომ 2016 წლის არჩევნების შემდეგ, საპარლამენტო ოპოზიციის სტატუსის შენარჩუნება გაგიჭირდებათ.

— სააკაშვილის პოლიტიკური წონის ლიდერი საქართველოში არ არსებობს და დაახლოებით, 10 წლის განმავლობაში, არც გამოჩნდება. მან აბსოლუტურად სწორი პაუზა აიღო, თუმცა ხელისუფლებაში მისი დაბრუნება გარდაუვალია, ეს არის კანონი, რომელსაც ვერავინ შეცვლის. სხვათა შორის, ერთ რამეზე მწყდება გული:

> **როცა განათლების მინისტრი ვიყავი, სასწავლო პროგრამაში კრიტიკული აზროვნების გაკვეთილების დამატება გვინდოდა — ბავშვებს გარკვეული ინფორმაცია კრიტიკულად უნდა შეეფასებინათ. ეს იდეა პატრიარქს გაუჩნდა, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ მოვასწარით. საქართველოში ჭორიკნების მიერ გავრცელებული ინფორმაციებით სტერეოტიპები იქმნება და ვიდრე მოსახლეობა კრიტიკულად აზროვნებას არ დაიწყებს, ქვეყანაში პრობლემები არ დასრულდება.**

— ნაციონალური მოძრაობა დღემდე ირწმუნება, რომ „ქართული ოცნება“ პუტინის პროექტია, თუმცა ფაქტია: ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ხელმოწერილია, უელსის სამიტიც ქვეყნისთვის, მეტ-ნაკლებად, წარმატებით დასრულდა.

— საქართველოს ხელისუფლება რუსეთიდან მომავალ საფრთხეს ირელევანტურად აფასებს. რამდენიმე დღის წინ სოხუმის დაცემის დღე იყო, აფხაზეთზე კონტროლი იმის გამო დავკარგეთ, რომ შევარდნაძე რუსეთს მიამიტურად მიენდო, სამწუხაროდ, დღესაც იგივე ვითარებაა. ხშირად ამბობენ, ბოლოს და ბოლოს რუსეთიც მართლმადიდებლური ქვეყანაა, მაგრამ ეს ის ქვეყანაა, რომელმაც ათასობით მოძმე უკრაინელი ჩახოცა. ბელორუსი მიხვდა, რომ რუსეთთან ერთი ადგილის თამაშს აზრი არ აქვს, საქართველოს ხელისუფლება კი ისევ ილუზიებშია.

— ფიქრობთ, გრიგორი კარასინის მიერ გაჟღერებული ინფორმაცია, რომელიც რუსეთ-საქართველოს შორის ახალი გზის მშენებლობას შეეხება, ჩვენს ხელისუფლებასთანაა შეთანხმებული?

— თავის დროზე როკის გვირაბი რომ არ აშენებულიყო, ცხინვალზე კონტროლს არ დავკარგავდით. გასაგებია, რომ ის საბჭოთა კავშირის დროს აშენდა, მაგრამ ახლა ხომ დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ, იგივე ორმოში რატომ ვხტებით? ისტორიიდან ჭკუას რატომ არ ვსწავლობთ? რუსეთმა კავკასიაში თავის მიზანს ვერ მიაღწია და ირანთან დერეფნის შექმნა ვერ შეძლო. 2008 წელს რუსეთმა თბილისი ვერ აიღო და გიურმის ბაზაზე გზა ვერ გაჭრა. ამ მიზნის შესრულებას ახლა ახალი გზის მშენებლობით ცდილობს, თუმცა მჯერა, ქართველი ხალხი, რომელმაც თავისუფლებისთვის სისხლი დაღვარა, არავის მისცემს შანსს, საქართველოში 1921 წელი განმეორდეს.

ვერსიანიუსი

პატრულმა დიდი ოდენობით დაკარგული თანხა მფლობელს დაუბრუნა

შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, სოფელ წეროვანთან, 1987 წ. დაბადებული ფრიდონ კუსრაევისგან მიიღეს შეტყობინება, რომ სამარშრუტო ტაქსში დარჩა ჩანთა, რომელშიც 11 ათასი აშშ დოლარი ჰქონდა. პატრულ-ინსპექტორმა შეტყობინების მიღებისთანავე თბილისისკენ მოძრავი ავტომანქანის სავარაუდო მონაცემები თბილისის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს გადასცეს.

სამართალდამცველებმა სამარშრუტო ტაქსი თბილისში, დადიანის ქუჩაზე გააჩერეს და ფულიანი ჩანთა იპოვეს. პატრულმა ნაპოვნი თანხა კანონიერ მფლობელს დაუბრუნა.

„ვერსიანიუსი“

შს მინისტრი მოლდოვას რესპუბლიკაში გაემგზავრა

შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე მოლდოვას რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტით პირველად გაემგზავრა. ვიზიტის ფარგლებში, შინაგან საქმეთა მინისტრი შეხვედრას გამართავს მოლდოველ კოლეგასთან, მოლდოვის შს მინისტრ დორინ რეჩენთან. ალექსანდრე ჭიკაიძე ასევე შეხვდება მოლდოვას რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს. ვიზიტის მსვლელობისას მხარეები ორმხრივი თანამშრომლობისა და ევროინტეგრაციის საკითხებს განიხილავენ. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერება საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკას შორის ევროკავშირთან ინტეგრაციის კუთხით თანამშრომლობის შესახებ ერთობლივ დეკლარაციასა და „საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმებას. მოლდოვას რესპუბლიკის მხრიდან აღნიშნულ შეთანხმებასა და დეკლარაციას ხელს მოაწერს მოლდოვას რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაციის შემადგენლობაში არიან: საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის და საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს ხელმძღვანელები.

„ვერსიანიუსი“

„თუ ნაციონალი ხარ, ესე იგი, შენი ცემა შეიძლება!“

ელენე ხოშტარია ხელისუფლების მთავარ საგარეო შეცდომებს ასახელებს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ერთი კვირაა, საქართველო საერთაშორისო ფრონტზე უარყოფით რეზოლუციებს იღებს, საშინაოზე კი — გადაკეტილ ქუჩებსა და ძალადობრივ აქციებს. საგარეო კრახზე საუბრისას ხელისუფლება აცხადებს, რომ ნაციონალებმა ევროსაბჭოს დეპუტაცია მოისყიდეს, აქციებსა და დაპირისპირებას კი კრახადაც არ მიიჩნევს. რა საფრთხეებს გვიქმნის ევროპული რეკომენდაციებისა და ოპონენტზე ძალადობის იგნორის პოლიტიკა? — „ვერსიას“ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ევროინტეგრაციის მინისტრის ექსმოადგილე ელენე ხოშტარია ესაუბრა.

— ევროსაბჭო, საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის, ადამიანის უფლებების ყველაზე ობიექტური შემფასებელია. ასე რომ, ბევრი საუბარი, რა მნიშვნელოვანია ეს შეფასებები შენი ქვეყნისთვის, არცაა საჭირო. თავად რეზოლუცია საკმაოდ უარყოფითი და დამაფიქრებელია. შეფასებების პირველი ნაწილი დადებითია, მეორე რეკომენდაციაა, რაც უკვე კრიტიკას ნიშნავს, მესამე კი ცალსახად უარყოფითი გახლავთ. ბოლოს, ერთი მთავარი წინადადება წერია: „მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიის განვითარებაში პროგრესი იყო, პოლიტიკური დევნა ამ პროცესს ჩრდილს აყენებს“. ეს საგანგაშო სიგნალია! იმის ნაცვლად, ევროპელებს „ვაწვებოდეთ“, აი, ჩვენ რამდენი რამ გავაკეთეთ, ახლა ჯერი თქვენზეაო, თავისმართლება გვიწევს.

— ხელისუფლება თავს არ იმართლებს, პირიქით, ისიც ითქვა, ევროპარლამენტარების ნაწილი მოსყიდულია, „სახალხო პარტია“ ნაციონალების მხარესაა, ამ რეკომენდაციების შესრულება აუცილებელი არ არისო. ეს შეფასებები ადეკვატურია?

— ეს ცალკე პრობლემაა. ჯერ ერთი, რამდენი ხანია, მსგავსი შენიშვნები გვესმის, მაგრამ არაფერი გავითვალისწინეთ. 2 წელია ამ მნიშვნელობის შეფასებებზე „ოცნება“ არაადეკვატურად რეაგირებს, რაც ასევე ძალიან საგანგაშოა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უვიცობაა, როცა ამბობენ, „სახალხო პარტია“, რომელიც დღეს ევროპას მართავს, მოისყიდესო. ამ პარტიის „სააკაშვილის კლუბად“ გამოცხადება, უბრალოდ, კრიტიკას ვერ უძლებს. ასეთი ფრაზები ლუკაშენკოს ახასიათებს და თუ ესაა ჩვენი საზომი, სამწუხაროა. თედო ჯაფარიძემ თქვა, რეკომენდაციების შესრულება სავალდებულო არ არისო, ეს კი იმ ტიპის რეაქციაა, როგორიც შეიძლება, რუსეთსა და ბელორუსს ჰქონოდა. ეს დიდი უპასუხისმგებლობაა და ალბათ, იმის ნიშანიც, რომ არ იციან, საქმე ვისთან აქვთ.

— თუმცა, მაინც გადაჭარბებული იქნება თქმა, რომ ევროპასთან საქმე ისე გავიფუჭეთ, როგორც რუსეთმა. რა ტიპის ბარიერები შეიძლება შეგვიქმნას მსგავსმა რეზოლუციებმა ნატო-სა და ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე?

— ჩვენი ინტეგრაცია იმაზეა დამოკიდებული, რამდენად კარგად განვახორციელებთ რეფორმებს. ამ საკითხებზე მიმუშავია და პირდაპირ გეტყვით — ნატო იღებს ევროკავშირის შეფასებებს და დებს დემოკრატიის შეფასების თავის ნაწილში. მისთვის ეს განმსაზღვრელია. ეს რეზოლუცია საქართველოზე ჩამოყალიბებული საერთაშორისო აზრია.

— რეზოლუციაში ახალაიასა და უგულავასთან დაკავშირებული რჩევა-ხსენება სწორხაზოვნად უნდა გავიგოთ და ეს ადამიანები ციხიდან გამოვუშვათ?

— რეზოლუციაში პირდაპირ წერია, რომ დაუმტკიცებელ ბრალზე ადამიანი ციხეში ამდენ ხანს წინასწარ პატიმრობაში არ უნდა გყავდეს. ეს ნიშნავს, რომ გადაკიდებული ხარ და დევნი! რა თქმა უნდა, ამ პოლიტიკის გაგრძელება შეგვიძლია, მაგრამ რეკომენდაციის შესრულება ჩვენი მთავრობის პოლიტიკური ნების გამოხატვა იქნებოდა. თუ რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა არაა, პოლიტიკოსების წინასწარ პატიმრობას, მართლაც, ოპონენტის დევნის სუნი ასდის. ასევე ძალიან საფრთხილოა ექსპრეზიდენტისთვის წაყენებული ბრალდებები.

— და თუ ეს ხალხის დაკვეთაა?

— თუ რეიტინგი დემოკრატიულ პრინციპს ან რაღაც კონკრეტულ, შენი ქვეყნისთვის სასიკეთო ამოცანას უპირისპირდება, არჩევანი დემოკრატიის სასარგებლოდ უნდა გააკეთო. თუ „ოცნება“ მხოლოდ რეიტინგზე მუშაობს, ძალიან სამწუხაროა. ეს შეფასებები ჩვენი წინსვლის განმსაზღვრელია და თუ არ გავითვალისწინებთ და ზემოდან კიდევ ბრალდებებს დავაყოლებთ, ევროპარლამენტი მოისყიდესო, წინ კი არა, გარანტირებულად უკან წავალთ! იმაზე ნამდვილად არაა ლაპარაკი, რომ ერთი დღე გათენდება და კარს აღარ გაგვიღებენ ან გამოგვაგდებენ, უბრალოდ, მთავარია, საით მივდივართ და რა დინამიკა გვაქვს. ეს ბოლო დინამიკა კი ძალიან ცუდია.

— „ოცნების“ 2-წლიანი საგარეო პოლიტიკის დინამიკაც შევაფასოთ — სად იყო რეგრესი და პროგრესი?

— პირველი, რაც კარგია, ისაა, რომ დასავლური კურსის შემოტრიალება არ მოხდა. ასოცირების ხელშეკრულებასაც ხელი მოეწერა. რა თქმა უნდა, ეს ინერცია იყო, მაგრამ კარგია, რომ ინერცია არ შეჩერდა. მიუხედავად ამისა, საგარეო პოლიტიკის კონკრეტულმა შეცდომებმა შეიძლება, ყველაფერ ამას ხაზი გადაუსვას: აქ ყველაზე მნიშვნელოვანი რუსეთთან დამოკიდებულებაა. არსებობს ილუზია, რომ ურთიერთობას დაარეგულირებენ და ჩვენი ქვეყნის პირველი პირების საგარეო გამოსვლებში რუსეთი, როგორც პრობლემა, აღარც განიხილება. ხანდახან ნახსენებიც არაა და თუ ნახსენებია, პოზიტიურ ცვლილებებზეა საუბარი. აღარ ვსაუბრობთ მავთულხლართებზე, აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე და ა.შ. სხვათა შორის, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა თქვა, ყირიმის კონტექსტში, საქართველო ნახსენები არსად არისო. ეს სწორი ხაზია და თუ იგი ამ პოზიციას დაიჭერს და ამ მიმართულებით იმუშავებს, ძალიან კარგი იქნება. რაც ახლა აფხაზეთში ხდება, ვიღაცამ თუ არ შეაჩერა, რუსეთზე ზეწოლის არანაირი მექანიზმი არ გვაქვს, დასავლეთის ყურადღების გარდა. ამ ყურადღებას კი მუდმივად მოპოვება და შენარჩუნება სჭირდება. ახლა რუსეთის ამოცანაა, მსოფლიოში შექმნას ილუზია, საქართველოსთან ურთიერთობა დავალაგეთო. ეს ძალიან საშიში პროცესია, რადგან შესაძლოა, რუსეთთან ერთი ერთზე, სრულიად მარტო დავრჩეთ.

— სომხეთის ევრაზიულ კავშირში შესვლა ჩვენთვის რას შეცვლის? ამ სავაჭრო კავშირში, ცალკე ქვეყნის სტატუსით, აფხაზეთის შეყვანაც იგეგმება...

— სომხეთს არჩევანი დიდი ხანია, გაკეთებული აქვს. აფხაზეთში ანექსიის საფრთხე კი მართლა ძალიან დიდია. პირდაპირ საუბრობენ, რომ დეკემბრამდე უნდა მოეწეროს ხელშეკრულებას აფხაზეთთან, რომლის მიხედვითაც, გაქრება საზღვარი რუსეთთან, აერთიანებენ ჯარს და ა.შ. ნებისმიერი ჩვენი მეგობარი ქვეყნის ევრაზიულ კავშირში შესვლა, რა თქმა უნდა, პრობლემას ქმნის, რადგან ამ კავშირს აძლიერებს, მაგრამ ჩვენთვის განაჩენი სულაც არ არის.

— საქართველოს გარშემო მიმდინარე სხვა არასახარბიელო მოვლენების ფონზე, დაძაბულობაა ქვეყანაშიც — „ოცნებისა“ და ნაციონალების არასამთავრობოები ერთმანეთს ფიზიკურად უპირისპირდებიან. ვის აწყობს მსგავსი არეულობა და ამდენმა აგრესიამ სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს?

— ძალიან დიდი პრობლემაა, რომ ჩვენს ქვეყანაში ცემატყეპა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, რასაც არსებულმა ხელისუფლებამ აშკარად ხელი შეუწყო. ეს მოვლენები ევროპულ რეკომენდაციაზე უკვე უარის თქმაა, უარესიც — გამოდის, თუ ნაციონალი ხარ, ესე იგი, შენი ცემა შეიძლება ანუ ქვეყანაში დაკანონდა განწყობა, რომ ნაციონალები ცუდები არიან და მათ მიმართ ძალადობა პრობლემა არაა. ასე შეიძლება, სერიოზულ დაძაბულობამდე მივიდეთ, რომლის მასშტაბები უფრო დიდი იქნება. ფაქტია, ამ ორ პარტიას შორის დაპირისპირება ძალიან მწვავეა. მით უმეტეს, როცა ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილება სულ უფრო იზრდება, ქაოსისა და არეულობის დაწყების საფრთხე არსებობს. სწორედ ესაა ძალადობის ლოგიკა, თუ ამას სერიოზულად არ მოეკიდე და ნაციონალების ზიზღით იმოქმედე, მაშინ ძალადობა უფრო დიდ ძალადობას შობს და ბოლოს, მართლა ქაოსს მივიღებთ! ამ გზით თუ ვივლით, ხელს მარტო ახალ კრიტიკულ რეზოლუციას კი არ გამოვკრავთ, ჩვენს ევროპულ პერსპექტივასაც დავაზარალებთ და რუსეთის პირისპირ მარტო დავრჩებით, თუმცა აპოკალიფსს ნამდვილად არ დავხატავ, რადგან არ არსებობს გონიერი ხელისუფლება, რომელსაც რუსეთის პირისპირ დარჩენისა არ ეშინია!

საკადრო სკანდალი თბილისის მერიაში — რა მოტივით დაატოვებინეს სამსახური 155 ადამიანს

დავით ნარმაიას მოადგილე ბრალდებებს პასუხობს

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

„სამართლიანი არჩევნების“ მონაცემებით, 2014 წლის 1 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე, მერიისადმი დაქვემდებარებული სამსახურებიდან 155 ადამიანია გათავისუფლებული, აქედან, პირადი განცხადების საფუძველზე – 115, ვადის გასვლის გამო – 32, დისციპლინური პასუხისმგებლობის გამო – 5, სხვა საფუძვლით კი — 3. პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებული 115 პირიდან თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურიდან 46 პირი გათავისუფლდა, მერიის ადმინისტრაციიდან — 34, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურიდან — 9, თბილისის მუნიციპალიტეტის სხვა სამსახურებიდან — 26. პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებულ პირებს შორის არიან საქალაქო სამსახურისა თუ განყოფილების უფროსები, მათი მოადგილეები, საქალაქო სამსახურის მთავარი და წამყვანი სპეციალისტები, საქალაქო სამსახურისა და მერიის აპარატის უფროსები, შტატგარეშე მოსამსახურეები, მერიის ადმინისტრაციის უფროსი, მერიის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეები.

აღსანიშნავია, რომ მერიამ გათავისუფლებული პირების სახელები და გვარები პერსონალურ მონაცემებად მიიჩნია და აღნიშნული ინფორმაცია „სამართლიან არჩევნებს“ არ მიაწოდა, გარდა მერიის რაიონების ყოფილი გამგებლებისა.

„სამართლიანი არჩევნებისა“ და მისი პარტნიორი ორგანიზაციების მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია: **„2014 წლის აგვისტოს დასაწყისიდან, სისტემატურად ხდება მერიის თანამშრომლების მიმართ ზეწოლა თანამდებობის „ნებაყოფლობით“ დატოვების შესახებ განცხადების დაწერის მოთხოვნით. მათი განცხადებით, მსგავს უკანონო ქმედებებში, როგორც წესი, მერიის სხვადასხვა სამსახურის უფროსები და მათი მოადგილეები მონაწილეობენ და სამსახურიდან გათავისუფლების მოტივად პოლიტიკურ შეხედულებებს ასახელებენ. ადგილი აქვს ასევე მათ წინააღმდეგ სამართლებრივი დევნის დაწყების მუქარასაც... იქმნება საფუძვლიანი ვარაუდი, რომ თბილისის მერიაში, რიგ შემთხვევებში, საჯარო მოხელეთა გათავისუფლება აშკარა თუ ფარული ზეწოლის ფონზე ხდება. ახლადდანიშნული თანამდებობის პირები სცდებიან თავიანთი უფლება-მოსილების ფარგლებს და კანონის მოთხოვნებს უგულებელყოფენ. სისხლის სამართლის კოდექსი 169-ე მუხლის თანახმად, დანაშაულია „პირის იძულება, დაწეროს განცხადება საკუთარი ინიციატივით სამუშაოდან განთავისუფლების თაობაზე“; მოვუწოდებთ თბილისის მერსა და შესაბამის ორგანოებს, შეისწავლონ ზემოაღნიშნული შემთხვევები და მოახდინონ სათანადო რეაგირება, სავარაუდოდ, პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობის, ადამიანის უფლებების დაცვისა და სამართლის უზენაესობის უზრუნველსაყოფად. ნებისმიერი უკანონო ქმედება (ზეწოლა, მუქარა, დაშინება), რომელსაც შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს მერიის თანამშრომლების მიმართ, უნდა იყოს დროულად, ეფექტურად და მიუკერძოებლად შესწავლილი, რასაც, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება უნდა მოჰყვეს“.**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ წარმომადგენელი ლევან ნატროშვილი ამბობს, რომ საგამოძიებო

დასასრული მე-5 გვერდზე

„ნაციონალებმა ხელისუფლება მერაბიშვილის ცოლისა და მისნაირების ვნებებს გადააყოლეს!“

რატომ ეცოდება ვანო მერაბიშვილი და ზურა ადეიშვილი და რით ხსნის სანდრო ბრეგაძე „ოცნების“ რეიტინგის კლებას

ეროსუდან შელია
557-100-768

ნაციონალური მოძრაობის მმართველობასთან რამდენიმეწლიანი პოლიტიკური ბრძოლა პირველად რამდენიმე თვის წინ დაუფასდა — ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მაშინდელი მინისტრის, დავით დარახველიძის მოადგილედ დაინიშნა, თუმცა ამ თანამდებობაზე მხოლოდ 2 თვე იმუშავა და, დარახველიძე სოზარ სუბარმა ჩაანაცვლა თუ არა, პოსტი დატოვა. ერთი თვის განმავლობაში უმუშევარი იყო, რამდენიმე დღის წინ კი, ისევ მინისტრის მოადგილის რანგში მოგვევლინა და ემიგრანტების სამშობლოსთან ინტეგრირების კონცეფციაზე მუშაობს. „ვერსია“ — დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს სანდრო ბრეგაძეს ესაუბრა.

— დიასპორის მინისტრის მოადგილედ პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით დავინიშნე. ეს სფერო ჩემთან ახლოსაა, რადგან წლების განმავლობაში, ემიგრანტი გახლდით და სხვადახვა ქვეყანაში მყოფი ქართული დიასპორის პრობლემებსაც კარგად ვიცნობ. საზღვარგარეთ უამრავი წარმატებული ქართველია, რომელსაც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეუძლია.

— დიასპორის სამინისტრო დიდი ხანია, ფორმალურ უწყებად ჩამოყალიბდა და ძირითადად, არჩევნებში საზღვარგარეთ მყოფი ქართველების საარჩევნო ხმების დათვლითაა დაკავებული. მინისტრის მოადგილედ თქვენი დანიშვნა სამინისტროს საქმიანობაში რას შეცვლის?

— მართალია, კოტე სურგულაძეს მინისტრის თანამდებობაზე დიდხანს ყოფნა არ მოუწია, მაგრამ მნიშვნელოვანი სამუშაოების ჩატარება მაინც მოასწრო. დიასპორის ამჟამინდელი მინისტრიც კარგი დიპლომატი, ენერგიული და ნიჭიერი ადამიანია. ემიგრანტების პრეტენზიების შესახებ მეც მსმენია და ვიზიარებ, რომ საიაკაშვილის ხელისუფლების დროს სამინისტრო უუნარო იყო, მაგრამ ნაციონალებს სწორედ ამ სფეროში უნდა ვაჯობოთ და დიასპორას განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ. მათ საგანმანათლებლო, სოციალური თუ ეკონომიკური კუთხით გაძლიერებაში უნდა დავეხმაროთ. აქტიურად უნდა ვითანამშრომლოთ მეზობელ თურქეთთან, სადაც სერიოზული ქართველი ბიზნესმენები და მეცნიერები იმყოფებიან. მათი პოტენციალის ქვეყნისთვის გამოყენება აუცილებელია. იგივე შემიძლია ვთქვა ინგილო და ფერეიდანელ ქართველებზე. ასე რომ, სამინისტროს კონცეფცია უკვე აქვს და ახლა მისი ამოქმედებაა საჭირო.

— ბატონო სანდრო, ჯერ კიდევ მაშინ, როცა დევნილთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნეთ, მწვავე კრიტიკის ობიექტი გახდით — დამისახელეთ თქვენი თუნდაც ერთი გადაწყვეტილება, რომელმაც ეკომიგრანტთა მდგომარეობა მცირედით მაინც გააუმჯობესა?

— კრიტიკული განცხადებები მხოლოდ ნაციონალებისგან მოვისმინე — დამამცირებელი იქნებოდა, თანამდებობაზე ჩემს დანიშვნას მისალმებოდნენ. საერთოდ, პოლიტიკოსი უნდა შეეგუო აზრს, რომ მეგობრებიც და მტრებიც თანაბრად გეყოლება. პირადად მე, მტრები მაძლიერებენ, რომლებიც ჯერ კიდევ იმ დროიდან მყავს, როცა 19 წლის ბიჭი ზვიად გამსახურიას ხელისუფლებას გვერდით ვედექი და შიშველი ხელებით მთავრობის სახლს იმ ადამიანებისგან ვიცავდი, რომლებმაც საქართველოს დამოუკიდებლობას ტყვია ესროლეს. ამ ჯგუფების განადგურებას არ ვითხოვ, ისტორიამ ისინი პოლიტიკურად დიდი ხანია, გაანადგურა.

რაც შეეხება კონკრეტულ გადაწყვეტილებას, დევნილთა სამინისტროში 2 თვის განმავლობაში რევოლუციური ცვლილებები გავატარე. იქ დამხვდა ჭაობი, რომელშიც სხვადასხვა მწერები და მღრღნელები ბუდობდნენ და ეკოლოგიური მიგრანტების პრობლემების გადასაჭრელად არაფერს აკეთებდნენ. მას შემდეგ, რაც ეს სფერო ჩემს განკარგულებაში მოექცა, ჩემთან მოსასვლელად საშვი არავის სჭირდებოდა, არც მიღების საათი იყო განსაზღვრული, რადგან 24 საათის განმავლობაში ნებისმიერ მსურველს ვხვდებოდი. შეხვედრას შეხვედრებისთვის კი არ ვატარებდი, აბსოლუტურად ყველა ეკომიგრანტის პრობლემა, ვინც ჩემთან მოვიდა, მოგვარდა. ახალი ავტომობილიც არ ავიღე და ამით სხვა საჯარო მოხელეებს მაგალითი მივეცი — აუცილებელი არაა თანამდებობის პირმა მაინცდამაინც ბოლო მოდელის ავტომობილით იაროს. პირიქით, 12 წლის ავტომობილი მემსახურებოდა, რომელიც ადრე დაცვის პოლიციის განკარგულებაში იყო. მეტიც, ის ჩემი სახსრებით გავარემონტე.

— „თავდადება“ რატომ არ დაგიფასდათ და დევნილთა მინისტრად სოზარ სუბარის დანიშვნის შემდეგ, პოსტიდან რატომ გაგათავისუფლეს?

— კონფლიქტი არავისთან მქონია, სოზარ სუბარი და მე სააკაშვილის რეჟიმს ჯერ კიდევ გაერთიანებული ოპოზიციის პერიოდიდან ვებრძოდით. უბრალოდ, საქმე შვეიცარული საათივით ავაწყვე და სამინისტროს დავუტოვე, რითაც ჩემი ფუნქცია უწყებაში ამოვწურე. იმედი მაქვს, ამ „საათს“ უროს არავინ ჩაარტყამს. სხვათა შორის, როცა დევნილთა სამინისტროში პირველად მივედი, თანამშრომლებმა მითხრეს, რომ ბიუჯეტის ათვისებაც ვერ მოასწრებდნენ. აღვშფოთდი, როცა 1000-ზე მეტი ოჯახი დაზარალებულია და საცხოვრებელი სახლი არ აქვს, ბიუჯეტში ფული უნდა დავაბრუნოთ? გრაფიკი მინიმალურ დროში გავწერეთ, რომლის მიხედვითაც, პროექტი ბოლომდე მივიდა. თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ყველაზე დაზარალებული ადამიანები დღეს კმაყოფილები არიან. ზოგს წელსვე შეხვდა ახალი სახლი, ზოგიც მომავალი წლის სიაში მოხვდა, თუმცა განაწილების პროცესი აბსოლუტურად გამჭვირვალედ წარიმართა.

— ბიუჯეტიდან თანხის ათვისების პრობლემა სხვა სამინისტროებსაც აქვთ. არადა, ეს იმ ფონზე ხდება, როცა ქვეყანაში უამრავი გადაუჭრელი პრობლემა დაგროვდა. ამიტომ ხომ არ იქმნება საზოგადოებაში აზრი, რომ ხელისუფლება უუნაროა?

— მომცენ ეს თანხები და ისე გავხარჯავ, რომ მთავრობას მეტ ფულს მოვთხოვ — ხალხის პრობლემების გადასაჭრელად მეტი ფული მჭირდება-მეთქი. მართლაც, არ მესმის, როგორ შეიძლება საქართველოში ბიუჯეტში არსებული თანხა ვერ გახარჯო, შვეიცარია და გერმანია ხომ არ ვართ? მიზეზებზე კონკრეტულად ვერ ვისაუბრებ, არ ვარ სამინისტროების მუშაობაში ჩახედული. შესაძლოა, ობიექტური მიზეზებიც არსებობს, მაგრამ ზოგადად, „ქართული ოცნების“ რეიტინგის კლება ბუნებრივი პროცესია — ნებისმიერი პოლიტიკური ძალა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე რეიტინგს მეტ-ნაკლებად კარგავს. ხელისუფლების მიმართ მკვეთრ უკმაყოფილებას კი, ვერ ვგრძნობ და არა იმიტომ, რომ ხალხს კაბინეტიდან ვუყურებ. პირიქით, მოსახლეობასთან კონტაქტი მუდმივად მაქვს. თუმცა ვაღიარებ, რომ შევარდნაძისა და სააკაშვილის ძირმომპალი რეჟიმის შემდეგ, ხალხს და მათ შორის მეც, იმაზე მეტი მოლოდინი გვქონდა, ვიდრე ამის შესაძლებლობა არსებობდა. 2-3 წელიწადში თბილისს ჟენევად, საქართველოს კი ყველაზე განვითარებულ ქვეყნად ვერ ვაქცევთ. ეკონომიკის განვითარებას დრო სჭირდება. მთავარია, ბიზნესი ზეწოლისგან გათავისუფლდა და ხელისუფლებამ ნაციონალური მოძრაობის დროს გარიგებებით გამდიდრებული ბიზნესმენებიც ხელშეუხებელი დატოვა. ბევრი ამის გამოც გვაკრიტიკებს და მათ „გაკულაკებას“ ითხოვს, შესაძლოა, სამართლიანობის პრინციპი მართლაც ირღვევა, მაგრამ ეკონომიკის გამოსწორებისთვის ეს აუცილებელი პროცესია. სამაგიეროდ, ძალაუფლების დაკარგვის გამო, ნაციონალები იმდენად დაიბოღმნენ, კოალიციის დისკრედიტაციისთვის ყველაფერზე მზად არიან. არადა, კარგად მახსოვს, ეს ადამიანები როგორები იყვნენ და ხელისუფლებაში საიდან მოვიდნენ. პარლამენტის წევრი ვიყავი და რამდენჯერაც ზურა ადეიშვილსა და ვანო მერაბიშვილს დავინახავდი, საცოდაობის გრძნობა მიჩნდებოდა — გაცრეცილი ფეხსაცმელებით დადიოდნენ და საჭმლის საყიდლად 2-3 ლარს აგროვებდნენ.

— გაცრეცილი ფეხსაცმელი არ მგონია, ადამიანს აკნინებდეს.

— რა თქმა უნდა, ეს ადამიანის ღირსებასა თუ უღირსობაზე არ მეტყველებს, მეც მივლია გაცრეცილი ფეხსაცმლით და შეიძლება, დღესაც დავდივარ, მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სწორედ ზურა ადეიშვილი და ვანო მერაბიშვილი ოფიციალური მილიონერები გახდნენ — იმდენი ფული აქვთ, არ იციან, სად წაიღონ.

— თუ ასეა, ამ ადამიანებს პროკურატურა ბიუჯეტის ხარჯზე გამდიდრებას რატომ ვერ უმტკიცებს? ევროპარლმანეტარები ხელისუფლებას ბაჩო ახალაიას გათავისუფლებისა და მიხეილ სააკაშვილისთვის ბრალის ჩამორთმევასაც ურჩევენ.

— ახალაია ჩემთვის თანამედროვე „ჩიკატილოა“. მიუხედავად იმისა, რომ ციხისთვის ყველა მეცოდება, ჩემი თვალით მაქვს ნანახი ახალაიას მეგობრები თუ მერაბიშვილის პოლიციელები პატიმრებსა და მომიტინგეებს როგორ ექცეოდნენ.

სასაცილოა, გიგა ბოკერია დემოკრატიაზე რომ საუბრობს — „იმედის“ ჟურნალისტების დარბევის ბრძანება მან გასცა. 26 მაისს ადამიანები დახოცეს და მაღაზიის სახურავზე შემოდეს, 7 ნოემბერს მომიტინგეები დაარბიეს, ციხე პოლიტპატიმრებით გაავსეს, ბიზნესმენებს აყაჩაღებდნენ, ავხორცობით ცხოვრობდნენ და საზოგადოებას უზნეობის მაგალითს აძლევდნენ. არავის პირად ცხოვრებაში ჩავიჭრები, შესაძლოა, ამ მხრივ მეც არაერთი ცოდვა მაწევს, მაგრამ პრეზიდენტი რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მკბენარე მასაჟისტის ფულს გადაიხდის, ავადმყოფია. ამ ადამიანებს ბავშვობა არ გაუვლიათ და 40 წლის ასაკში 16-17 წლის ბიჭებივით იქცეოდნენ. ავხორცობას ხელისუფლება გადააყოლეს. ეგონათ, მუდმივად ამ მდგომარეობაში იქნებოდნენ. უჭკუო ადამიანები არიან, გრამი ტვინი რომ ჰქონოდათ, ხელისუფლებაში ისეთი აღტყინებითა და ხალხის მხარდაჭერით მოვიდნენ, რომ ძალაუფლება მართლაც დიდხანს უნდა შეენარჩუნებინათ, მაგრამ ხელისუფლება მერაბიშვილის ცოლისა და მისნაირების ვნებებს გადააყოლეს. დღეს კი, რკინის ვანო, დაცვის გარეშე ჩვეულებრივი ვანუა გახდა.

საკადრო სკანდალი თბილისის მერიაში — რა მოტივით დაჯოვებინეს სამსახური 155 ადამიანს

მე-4 გვერდიდან

ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყონ ყველა იმ საქმის გამოძიება, რომელიც დანაშაულის სავარაუდო ნიშნებს შეიცავს. მისივე თქმით, თბილისის მერიიდან საჯარო მოხელეების დათხოვნის საკითხზე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები პირადად შეხვდნენ დავით ნარმანიას. მერმა კატეგორიულად გამორიცხა მისდამი დაქვემდებარებული თანამდებობის პირთა მსგავსი ქმედებები. ნარმანიას განცხადებით, ცალკეული მოხელეები თავს არიდებენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას ან მას არაჯეროვნად ასრულებენ. ლევან ნატროშვილი აღნიშნავს, რომ ამ შეხვედრაზე დავით ნარმანია მათ ყველა ფაქტის გადამოწმებას დაპირდა.

„სამართლიანი არჩევნების“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას თბილისის ვიცე-მერი **ალექსანდრე მარგიშვილი** გამოეხმაურა: **„არავის დავმუქრებივართ, არანაირი იძულება არ ყოფილა, განცხადება დაწერეთო. მერიაში ხელმძღვანელობა შეიცვალა, თანამშრომლების ნაწილმა მიიღო გააზრებული გადაწყვეტილება, რომ სურვილი არ ჰქონდა ჩვენთან მუშაობის; ნაწილმა ჩათვალა, რომ იმ რეჟიმს ვერ აეწყობოდა, რომლის დანერგვაც ჩვენ დავიწყეთ; ზოგმა სცადა, რომ შეესრულებინა დავალებები, მაგრამ კომპეტენციის ნაკლებობის გამო, ელემენტარულად, არ გამოუვიდა“.**

ალექსანდრე მარგიშვილის თქმით, სწორედ ამ მიზეზით დარჩა თბილისის მერიის თანამშრომელთა ნაწილი უმუშევარი. ამასთან, თბილისის ვიცე-მერი ყველაფერს ამას ნორმალურ მოვლენად მიიჩნევს და აზუსტებს, რომ თუ არა მერიის ხელმძღვანელ პირთა შეცვლა, სამსახურს ერთდროულად 155 ადამიანი არ დაკარგავდა.

ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, განცხადება თბილისის მერიამაც გაავრცელა: **„გვინდა, გამოვეხმაუროთ მერიასთან შეკრებილი რამდენიმე თანამშრომლის უსაფუძვლო განცხადებებს. თბილისის მერიის სისტემაში დასაქმებულია რამდენიმე ათასი ადამიანი. ისინი ამ დროისთვისაც იმყოფებიან საკუთარ სამუშაო ადგილებზე და ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობას. გვინდა მკაფიოდ განვაცხადოთ: თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით, მერიის სისტემაში ველარ იმუშავებენ არაპროფესიონალი თანამშრომლები, რომლებიც ხელმძღვანელების მიერ მიცემულ ელემენტარულ დავალებებსაც კი ვერ ასრულებენ. რაც შეეხება სხვა ათასობით თანამშრომელს, რომელიც კვალიფიციურად ასრულებს და მომავალშიც შეასრულებს საკუთარ მოვალეობას, ცხადია, ასეთი ადამიანები გააგრძელებენ მუშაობას. ამავდროულად, კანონმდებლობის შესაბამისად, ჩატარდება ატესტაცია, რომლის საფუძველზეც დაკომპლექტდება მერიის სამსახურები. რაც შეეხება ახალი თანამშრომლების დანიშვნას, მათი შერჩევა ხდება პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის შესაბამისად“.**

თუ მერიიდან თანამშრომლების მასობრივად გათავისუფლების ფაქტები სათანადოდ გამოძიებული და სამართლებრივად შეფასებული არ იქნება, ქვეყანაში მანკიერ წრეზე სიარული გაგრძელდება. ბოლო უნდა მოეღოს პრაქტიკას, როცა ყოველი ახალი ხელისუფლება წინამორბედის თუნდაც საშუალო და დაბალი რანგის მოხელეებს ეჭვის თვალით უყურებს და არ ენდობა.

ბინა, რომელშიც გიორგი პაპუაშვილი ცხოვრობს, ნაციონალებმა ასლან აბაშიძის ჩინოვნიკს წაართვეს

ნათია აბაშიძე

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე სკანდალში ეხვევა — გიორგი პაპუაშვილი, როგორც ირკვევა, წლებია, წართმეულ სახლში ცხოვრობს. საერთოდ, როგორც „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელი არჩილ კაიკაციშვილი ამბობს, ე.წ. ვარდების ხელისუფლებამ საკუთრების დათმობისა და ხელყოფის ყველაზე მასშტაბური მოქმედება აჭარაში განახორციელა. „2004-2012 წლებში აჭარაში საკუთრების ჩამორთმევის ფაქტები და ყოფილი თანამდებობის პირების მიმართ ჩადენილი უკანონო მოქმედებები მთლიანად შესასწავლია. ჯერ არ მომზადებულა შესაბამისი სამართლებრივი დასკვნა, თუ რა ზიანი მიადგათ მოქალაქეებს, რომლებმაც ზეწოლა პოლიტიკური ნიშნით, თავიანთი გამოკვეთილი სამოქალაქო პოზიციის გამო განიცადეს“, — ამბობს კაიკაციშვილი. მისივე განმარტებით, მერაბ ბლადაძის ისტორია პოლიტიკური გაკულაკების კლასიკური მაგალითია.



როლანდ ბლადაძე, „ახალგაზრდა ადვოკატების“ დასკვნის მიხედვით, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, აბაშიძის გარემოცვის წევრი იყო და საბაჟო დაცვის სამსახურში მუშაობდა. 2004 წლის აპრილში ანუ ე.წ. აჭარის რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე, საბაჟო სამმართველოს ხელმძღვანელობამ „სამსახურში უცნობი მიზეზით“ არგამოცხადების საბაბით გაათავისუფლა. სინამდვილეში კი, როგორც კაიკაციშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას განმარტავს, „ბლადაძემ საქართველოდან ფარულად გასვლის გადაწყვეტილება მიიღო, რის გამოც აჭარის პროკურატურამ მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო, სასამართლომ კი მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება უკანონოდ, დაუსაბუთებლად სცნო და ჩამოართვა“.

სხვათა შორის, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ როლანდ ბლადაძის საქმის შესწავლას რამდენიმე თვე მოანდომეს და დასკვნა მხოლოდ აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს კი არა, სახალხო დამცველს, დიპლომატიურ კორპუსსა და საერთაშორისო ორგანიზაციებსაც გადაუგზავნეს. კვლევის ინგლისურენოვანი ვერსია კი, ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოებს, ვენეციის კომისიასა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ცენტრალურ ოფისებს მიაწოდეს.

ზემოხსენებულ კვლევაზე დაყრდნობით, „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელი განმარტავს, რომ როლანდ ბლადაძის წინააღმდეგ, სამართალდამცავი და ადმინისტრაციული ორგანოები, ასევე, სასამართლოც შეთანხმებულად, შერჩევითი სამართლით მოქმედებდნენ, რადგან ბლადაძის, როგორც ასლან აბაშიძესთან დაკავშირებული მოხელის დასჯა, სხვებისთვის მაგალითი გამხდარიყო. სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც საქართველო დატოვა, ბლადაძე იძულებული გახდა, რუსეთის მოქალაქეობა მიეღო.

ერთი სიტყვით, მიზანმა საშუალება გაამართლა და როლანდ ბლადაძე არათუ საქართველოდან გააძევეს, არამედ ქონებაც ჩამოართვეს და აი, სწორედ ამ დროს შემოდის „ავანსცენაზე“ გიორგი პაპუაშვილი — პრეზიდენტი სააკაშვილი გაკულაკებული ბლადაძის ქონებას, კერძოდ, ბათუმში მდებარე ბინას საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს პირდაპირი მიყიდის წესით „ჩუქნის“.

„მართალია, 2013 წლის ივნისში, როლანდ ბლადაძის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა, მაგრამ საქმეზე სამართლებრივი დავა უშედეგოდ გრძელდება და პაპუაშვილი დღემდე ბლადაძისთვის წართმეულ სახლში ცხოვრობს. ბლადაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტამ კანონიერი საფუძველი შექმნა, რომ უძრავი ქონების დაბრუნებაზე სამართლებრივი მოქმედებები გაძლიერებულიყო, მაგრამ ახლადაღმოჩენილი და ახლადგამოვლენი გარემოებების მიუხედავად, მოქმედი კანონმდებლობა სასამართლოს საშუალებას არ აძლევს, ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება ბათილად სცნოს, რადგან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების გასაჩივრებიდან, ხანდაზმულობის 5-წლიანი ვადა გასულია“, — განმარტავს არჩილ კაიკაციშვილი.

ამონარიდი როლანდ ბლადაძის ერთ-ერთი ინტერვიუდან: „აჭარის რევოლუციის შემდეგ, ვიდრე საქართველოს დავტოვებდი, პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან ორჯერ დამირეკეს. მთავაზობდნენ, ჩამოდი, ტელევიზიით აბაშიძე გალანძღე და ამის შემდეგ მუშაობას ჩვეულებრივად გააგრძელებო. უარი ვუთხარი. იმ დღეს, როცა ასლან აბაშიძემ საქართველო დატოვა, დათა ახალაიამ დამირეკა და დამემუქრა, ჩამივარდები ხელშიო. მანამდე კი, მთელი თვე, სამსახურში მეჯდა, როგორც პრეზიდენტის ნდობით აღჭურვილი პირი და საბაჟოზე ყველაფერს პირადად აკონტროლებდა. თბილისში ჩასვლის შემდეგ, ტელევიზიითაც თქვა, სარფში დარღვევა ვერ აღმოვაჩინეო... საქართველოდან ჩემი წასვლის შემდეგ, მამაჩემთანაც მისულან და უთხოვიათ, როგორმე გაგვიყვანე კონტაქტზეო. ფულს უკვე აშკარად მოითხოვდნენ, ჯერ 500 ათასი თქვეს, შემდეგ, 50 ათასზე ჩამოვიდნენ. როცა თანხის გადახდაზე უარი განვაცხადე, დაიწყო მუქარა, თუ არ გადაიხდი, სახლს წაგართმევთო... მოსკოვში მარტო წავედი, მეუღლე და სამი შვილი ბათუმში დავტოვე. ერთ „მშვენიერ“ დღეს სახლში ნიღბიანები შეიჭრნენ და მეუღლე, სამი მცირეწლოვანი შვილით გარეთ გამოაგდეს. ჩემი პატარა ერთი ნიღბიანთან მისულა და შეხვეწებია, არ გაგვყაროო, მას კი ბავშვისთვის გაურტყამს. ეს ის პერიოდია, როცა ასლან აბაშიძის ხელისუფლების წევრებს, შიშის გამო, ქუჩაში არავინ ესალმებოდა. ჩემი ოჯახის შეფარებას ვინ გაბედავდა?.. ხან ერთ ნათესავთან იმალებოდნენ, ხან მეორესთან. მთელი წელი ბავშვებს სკოლაში არ უვლიათ. ამის შემდეგ მათი მოსკოვში წაყვანა მოვახერხე. გამოსახლების დროს უკვე ვიცოდით, რომ ჩვენს სახლში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი უნდა შესულიყო... ახლა ამბობს, არ ვიცოდი, წართმეული რომ იყოო. როგორ არ იცოდა, რამდენჯერმე გავუგზავნე საერთო ნაცნობები და შევუთვალე, რას აკეთებ, ყველაფერი ეს ცვალებადია და ცოდვას ნუ დაიდებ-მეთქი. მან ჩვენი ბინა ისე დაიკავა, უხერხულობა არ უგრძნია. დიახ, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ სამართლის დაცვას მცირეწლოვანი ბავშვების ქუჩაში გამოყრა არჩია. ჩემმა მეუღლემ შეუთვალა, ამ ბინაში ბავშვებმა იმდენი ცრემლი დაღვარეს, ვერ გაიხარებო. პაპუაშვილის პასუხი ასეთი იყო: წასვლას არსად ვაპირებო... სხვათა შორის, მაშინ, როცა გავიგე, ჩემს სახლში პაპუაშვილი შეასახლეს, გიორგი თარგამაძე „იმედში“ მუშაობდა. დავურეკე და ვთხოვე, სიუჟეტი გააკეთე-მეთქი. კარგიო, დამთანხმდა, მაგრამ რამდენიმე დღეში უარი მითხრა, ჩემთან ეკა ხოფერია მუშაობს და პაპუაშვილი მისი დის ქმარიაო...

აჭარის ხელისუფლებას ჩემი ბინა ბევრისთვის შეუთავაზებია, მაგრამ გიორგი პაპუაშვილის გარდა, არავინ შესულა. ყველამ უარი თქვა, აქ პატარა ბავშვები ცხოვრობენ და მათ ცოდვას ვერ დავიდებთ, მით უმეტეს, ბინა უკანონოდაა ჩამორთმეულიო.

პაპუაშვილის მეუღლეს, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, ეკა ხოფერიას დაა, ძალიან მოსწონებია ჩემი ბინა. ადვოკატი ურჩევდა, არ შეხვიდეთ ამ ბინაში, უკანონოდაა ჩამორთმეულიო, მაგრამ მას დაუჟინებია, გინდა თუ არა, ეს ბინა მომწონსო... როცა იგებენ, ჩემს ბინაში გიორგი პაპუაშვილი ცხოვრობს, საქმეს ყველა თავიდან იცილებს. ახლა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი ჩემთვის წართმეული ბინის გაყიდვას აპირებს. როგორც ჩანს, შეეშინდა, ბინას დავიბრუნებ და ცდილობს, ნაძარცვი ქონება თავიდან მოიშოროს, რომ ფული მაინც შერჩეს. ყველას მოვუწოდებ, გიორგი პაპუაშვილისგან ბინა არ იყიდოს, რადგან ეს ბინა ჩემია და მისი შემძენი კეთილსინდისიერ მყიდველად ვერ ჩაითვლება. ადრე თუ გვიან, მაინც დავამტკიცებ სიმართლეს“.

არჩილ კაიკაციშვილის თქმით, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2014 წლის 10 ივნისამდე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, საკუთრების უფლების დაბრუნებასთან დაკავშირებით, 60 მოქალაქის განაცხადია რეგისტრირებული, მთავარ პროკურატურაში კი, ჩამორთმეული ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებით, რამდენიმე საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს. სხვათა შორის, 2014 წლის 12 აგვისტოს, პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** საჯაროდ განაცხადა, რომ მთავრობა საზოგადოებას უახლოეს მომავალში შეატყობინებს, თუ რა ბედი ეწევა მოქალაქეებს, რომლებმაც ქონება დაკარგეს: *„მინდა, განვუმარტო მოქალაქეებს, რომელთა უფლებები უხეშად, ძალადობით, სასტიკად ირღვეოდა წლების განმავლობაში, რომ სახელმწიფო, ჩვენ, 24 საათის განმავლობაში ვზრუნავთ მათი უფლებების აღდგენისთვის. პროკურატურამ, პრაქტიკულად, დაასრულა მათ საქმეებზე მუშაობა — საქმეების შესწავლა ბოლო ეტაპზეა და იმედი მაქვს, რომ უახლოეს მომავალში შევატყობინებთ საზოგადოებას, რა ბედი ეწევა იმ მოქალაქეებს, რომლებმაც დაკარგეს ქონება, ბიზნესი, სიცოცხლე. ჩვენი ვალია, რომ ეს პროცესი ბოლომდე მივიყვანოთ... ყველა დანაშაულს დაერქმევა თავისი სახელი და ჭეშმარიტება სამუდამოდ დადგინდება!“*

2014 წლის 3 ივნისს, აღნიშნულ საქმეზე „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, გიორგი პაპუაშვილს წერილობით რამდენიმე კითხვა გაუგზავნა:

„გქონდათ თუ არა ინფორმაცია როლანდ ბლადაძის შესახებ, კერძოდ, იმ ბრალდებასა და სავარაუდო დანაშაულზე, რომელსაც სახელმწიფო ედავებოდა?

რა ინფორმაციას ფლობდით იმ უძრავი ქონების ყოფილი მესაკუთრის შესახებ, რომელიც პრეზიდენტის განკარგულებით გადმოგეცათ?

როგორია თქვენი პოზიცია მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა აჭარის ა/რ პროკურატურის დადგენილება როლანდ ბლადაძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, დგას თუ არა თქვენს წინაშე სამართლებრივი დილემის საკითხი — რამდენად მართლზომიერია, ფლობდეთ და ცხოვრობდეთ საკუთრებაში, რომლის ყოფილ კეთილსინდისიერ მხარეს გაქარწყლებული აქვს პოლიტიკური ნიშნით ნაყენებული ბრალდება?

როგორია თქვენი დამოკიდებულება საკონსტიტუციო სასამართლოს იმ წევრების მიმართ, რომლებმაც უარი თქვეს სახელმწიფოს მხრიდან ჩამორთმეული ქონების მიღებაზე?

თუკი თქვენი კოლეგები, მაღალი პროფესიული ბიოგრაფიით გამორჩეული მოსამართლეები უარს ამბობენ ჩამორთმეული ქონების ფლობაზე, რამდენად გამართლებულად უნდა ჩაითვალოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება, ცხოვრობდეს როლანდ ბლადაძის ყოფილ საკუთრებაში, რომელსაც ბრალდება არ დაუმტკიცდა. როგორ ფიქრობთ, როლანდ ბლადაძის მიმართ, აჭარის 2004 წლის რევოლუციის შემდგომ, ჰქონდა თუ არა ადგილი შერჩევით მართლმსაჯულებას. მოხდა თუ არა მისი პოლიტიკური ნიშნით დევნა როგორც აჭარის ყოფილი მეთაურის გუნდის წევრის და 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსული ახალი ხელისუფლებისთვის მიუღებელი კადრის?

სხვა შემთხვევაში, რით ახსნით, აჭარის ა/რ პროკურატურის 2013 წლის 12 აპრილის დადგენილებას, როლანდ ბლადაძის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას?..

არსებული ისტორია, რამდენად კავშირშია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების სანდოობასა და მიუკერძოებლობასთან? რადგანაც თქვენ ბრძანდებით საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი პირი.

რამდენად კანონიერი და მართლზომიერი მოქმედება განახორციელეთ, როდესაც თქვენს საკუთრებაში აღმოჩნდა როლანდ ბლადაძის კუთვნილი ავტოფარეხი, რომელიც ბლადაძის საკუთრებაში ირიცხებოდა და სახელმწიფოს მხრიდან მისი ჩამორთმევა არ მომხდარა? სასამართლოს არც ერთ გადაწყვეტილებაში ავტოფარეხის ჩამორთმევა ნახსენები არ არის.

თქვენ, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, რომელსაც კანონი და უფლებამოსილება მაღალ პასუხისმგებლობასა და სტანდარტს აკისრებს, როგორ აფასებთ 2003-2012 წლებში, ხელისუფლების მიერ მოქალაქეებისთვის, საქმიანი სფეროს წარმომადგენლებისა და სხვადასხვა ჯგუფისთვის ქონების უკანონოდ ჩამორთმევის ფაქტებს?“

არჩილ კაიკაციშვილის თქმით, 2014 წლის 26 ივნისის, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოდან წერილი მიიღეს, რომელსაც ხელს სასამართლოს საორგანიზაციო სამსახურის უფროსი, ლია ბაგაშვილის აწერს. წერილში აღნიშნულია:

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 53-ე მუხლში 2006 წლის 7 სექტემბერს შეტანილი ცვლილებების შედეგად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილსამყოფად განისაზღვრა ქ. ბათუმი. საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრს კანონმდებლობის, მათ შორის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოს მიერ, პირდაპირი მიყიდვის წესით, გადაეცათ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართები ქ. ბათუმში. იქიდან გამომდინარე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს, სახელმწიფოს მიერ საცხოვრებელი ბინები ქ. ბათუმში გადაეცათ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლებითა და დადგენილი წესით, მათ მიიღეს საჯარო რეესტრის მონაცემებში რეგისტრირებული კანონიერი მესაკუთრისგან (სახელმწიფოსგან) უფლებრივად უნაკლო ქონება. ამასთანავე გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წერილში დასმული სხვა საკითხების განხილვა არ განეკუთვნება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას.“

არჩილ კაიკაციშვილი: „ჩვენმა ორგანიზაციამ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, დაადგინა, რომ ბათუმში მდებარე ის უძრავი ქონება, რომლის მესაკუთრეებიც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები პრეზიდენტის 2007 წლის 6 ივნისის 285 განკარგულებით გახდნენ, 2014 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, გასხვისებულია, ბევრი კი იპოთეკითაა დატვირთული.

დასასრული მე-7 გვერდზე

დაზღვევა გაიაფდება?!

რაფომ უნდა დარეგისტრირდნენ სადაზღვევო კომპანიები სააქციო საზოგადოებად და როდიდან იქნება დაზღვევა სავალდებულო

მაია მიშელაძე
593-51-90-12

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის საკანონმდებლო ინიციატივით, 2015 წლის 1 ივლისიდან, სადაზღვევო კომპანიების იურიდიულ-სამართლებრივი სტატუსი იცვლება. ის სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც რეესტრში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად (შპს) არიან რეგისტრირებულნი, 1 ივლისიდან სააქციო საზოგადოებად (ს/ს) უნდა დარეგისტრირდნენ. დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის, ლაშა ნიკოლაძის განმარტებით, ცვლილების შედეგად, დაზღვევის ინდუსტრიაში სუბიექტივიზმი გამოირიცხება, რაც მომხმარებელთა ინტერესების დასაცავად გადადგმული ნაბიჯია. გარდა ამისა, ახალი საკანონმდებლო ინიციატივის საფუძველზე, სადაზღვევო ბაზარი ინვესტორებისთვის მიმზიდველი გახდება. საქართველოს სადაზღვევო ინდუსტრიაში ერთადერთი „ალდაგია“, რომელსაც ეს ცვლილება არ ეხება, რადგან კომპანია, შექმნის დღიდან, ისედაც იურიდიულ-სამართლებრივი სტატუსის სააქციო საზოგადოებაა.

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ინიციატივით, ცვლილებები „დაზღვევის შესახებ“ კანონში მომზადდა, რომელიც პარლამენტში უკვე წარდგენილია. ცვლილებების პაკეტის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ ამ მიმართულებით სადაზღვევო სფეროში მთელი რიგი საკანონმდებლო ნორმები იცვლება. „დაზღვევის შესახებ“ მოქმედი კანონის გათვალისწინებით, მზღვეველი შესაძლებელია არსებობდეს ორი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით — შპს-ს ან ს/ს. პარლამენტში წარდგენილი პროექტის თანახმად, სადაზღვევო ორგანიზაციები მხოლოდ სააქციო საზოგადოების სახით უნდა ჩამოყალიბდნენ. ეს მოთხოვნა გავრცელდება ახლადშექმნილ მზღვეველებზე კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან, ხოლო ბაზარზე უკვე არსებულმა სადაზღვევო კომპანიებმა, რომელთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა შპს, ეს მოთხოვნა 2015 წლის 1 ივლისამდე უნდა დააკმაყოფილონ.

როგორც ირკვევა, ამ ცვლილების გატარება, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დადგა დღის წესრიგში. გარდა ამისა, მოქმედი კანონით, სადაზღვევო ვალდებულია, კალენდარული წლის დასრულებიდან მომდევნო წლის 15 მაისამდე, გასული წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს წარუდგინოს. კანონში დაგეგმილი ცვლილებები კი ანგარიშგების წარდგენას 15 მაისის ნაცვლად, 15 აპრილამდე ითვალისწინებს. ვადის შემცირების მიზეზი ის გარემოებაა, რომ მზღვეველი წლიურ ანგარიშს 20 თებერვლამდე აბარებს, ხოლო საგადასახადო სამსახურს — 1 აპრილამდე. ახალი ვადა საკმარისია, რათა მზღვეველმა ფინანსური ანგარიშგება დროულად წარადგინოს.

რას ნიშნავს ახალი საკანონმდებლო ინიციატივა და კონკრეტულად რა იცვლება დაზღვევის ინდუსტრიაში? „ვერსიას“ დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, **ლაშა ნიკოლაძე** ესაუბრება:

— საფინანსო ინსტიტუტები, როგორებიცაა ბანკები და სადაზღვევო კომპანიები, მთელ მსოფლიოში, კორპორატიული მმართველობის პრინციპებს ეყრდნობიან. ეს გულისხმობს აქციონერებს, სამეთვალყურეო საბჭოსა და მენეჯმენტს შორის, სწორად გადანაწილებულ პასუხისმგებლობას, ვალდებულებასა და შესაძლებლობებს. სამწუხაროდ, აქამდე საქართველოში შესაძლებელი იყო, სადაზღვევო კომპანიას ასეთი კორპორატიული მმართველობის საბაზრო ელემენტების გარეშე ეარსება. მომავალი წლიდან კი მხოლოდ ს/ს იქნება ერთადერთი მისაღები ფორმა სადაზღვევო კომპანიებისთვის, რაც გარკვეულწილად, ამ დისბალანსის აღდგენის პირველი ნაბიჯია. ამის შემდეგ გათვალისწინებული გვაქვს სერიოზული კორპორატიული მმართველობისა და გამჭვირვალობის, ცენზების, გარკვეული ურთიერთქმედების ცვლილების ნორმატიული პაკეტიც, რაც ამ ძირითად იურიდიულ ცვლილებას მოჰყვება.

— კონკრეტულად რას გულისხმობს ცვლილებების პაკეტი, რომელიც ახალ ინიციატივას უნდა მოჰყვეს?

— სადაზღვევო კომპანია დიდი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე სტრუქტურაა. შესაბამისად, მისი მმართველობა საჭიროებს კორპორატიული მმართველობისა და გამჭვირვალობის ძირითად კომპონენტებს, რათა მომხმარებელი ზუსტად მაშინ არ მიატოვოს, როდესაც მას ყველაზე მეტად სჭირდება დახმარება. ეს კი დაზღვევის ძირითადი პრინციპია, რასაც მომხმარებელთა ინტერესების დაცვას ვუწოდებთ. საქართველოში, კორპორატიული მმართველობის ძირითადი ჩართულობის გარეშე, შესაძლებელი იყო სრულიად ერთპიროვნულად, სადაზღვევო კომპანიის ნებისმიერი მიმართულებით მანიპულირება. უახლოეს მომავალში, საკანონმდებლო თვალსაზრისით, კიდევ უფრო მეტად განვსაზღვრავთ აქციონერს, სამეთვალყურეო საბჭოსა და მენეჯმენტს და ვეცდებით, მათი პასუხისმგებლობაც კანონით განვმარტოთ. ამავდროულად, გარკვეული ცენზიც იქნება — მე თუ აქციონერი ვარ, არ შეიძლება, ჩემი მეზობელი, მეგობარი ან ბიძაშვილი სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყოს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მინიმალური რაოდენობა და მათი ურთიერთკავშირიც კანონით გაიწერება. მენეჯმენტის საკანონმდებლო ნორმებშიც იგივე ტენდენციას შევინარჩუნებთ. ურთიერთდაკავშირებულ პირებს განვსაზღვრავთ და ცენზი აქაც იქნება. ამ მიმართულებით, ერთადერთი ფორმა, რომელიც მსოფლიოშია აპრობირებული და სადაზღვევო კომპანიის ამ კომპონენტებს სრულად შეკვეცავს, სააქციო საზოგადოებაა. მაგალითად, კომერციულ ბანკებს რთული კორპორატიული მმართველობა აქვთ, რაც ჩაშლილია იმის მიხედვით, როგორ უნდა გაიყოს პასუხისმგებლობა ფინანსურ მოძრაობასა და ვალდებულებების გადანაწილებას შორის. სადაზღვევო ინდუსტრიაში ასეთ რთულ მოდელამდე მალე ვერ მივალთ, მაგრამ ვეცდებით მაინც ამ მიმართულებით წავიდეთ. უფრო მარტივად რომ აგიხსნათ, ამ საკანონმდებლო ცვლილების არსი, სადაზღვევო კომპანიის კორპორატიული მმართველობისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია. ეს არის, როგორც ჩვენი ჩამორჩენის აღმოფხვრის საშუალება, ასევე რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციაც, მათ შორის, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის.

— ცვლილება ხელს შეუწყობს იმ პრობლემების აღმოფხვრას, რაც სადაზღვევო კომპანიებში დღესაც არსებობს?

— საბანკო ინდუსტრიაში ინვესტიციების მოზიდვა სამი ძირითადი კომპონენტის შედეგადაა შესაძლებელი და სწორედ ამ კომპონენტების დანერგვას ვაპირებთ. პირველი — გადახდისუნარიანობის რეგულირებაა, რომელიც ციფრებსა და მმართველობის ხარისხთანაა დაკავშირებული. გადახდისუნარიანობის ნორმები უკვე მომზადებული გვაქვს და წლის ბოლომდე, რამდენიმე მნიშვნელოვან ნაბიჯსაც გადავდგამთ. ეს ნორმები ნორმატიული აქტებით რეგულირდება და მას პარლამენტის თანხმობა არ სჭირდება. მეორე კორპორატიული მმართველობაა — თუ ინვესტორი ხართ და რომელიმე ქვეყნის საინვესტიციო ბაზარზე აპირებთ შესვლას, ამ ორი კომპონენტით ინტერესდებით, რათა გაარკვიოთ, რამდენად გამჭვირვალეა ბიზნესი. მესამე — სადაზღვევო ბაზრის ფინანსური პასუხისმგებლობაა, ანუ ისეთი დრაივერების არსებობა, როგორებიცაა სავალდებულო დაზღვევა, გარკვეული მოთხოვნების გაჩენა, რათა სადაზღვევო ინდუსტრიის მომხიბვლელობა გაიზარდოს. უფრო დეტალურად რომ აგიხსნათ, გადახდისუნარიანობის რეგულირების თვალსაზრისით, ისეთი ნორმების შემოღებას ვგეგმავთ, რაც ევროპაში ჯერ კიდევ 1970 წელს მიიღეს. დიახ, ამ მიმართულებით, 44 წლით ჩამოვრჩით ევროპას. გადახდისუნარიანობის ისეთი მარტივი თემა, როგორიცაა რისკის გადანაწილება დაზღვევაში ანუ გადაზღვევა საქართველოში საერთოდ არ არის რეგულირებული. ეს ნიშნავს, რომ, შესაძლოა, მილიონი გქონდეთ, მაგრამ მილიარდიანი რისკი ახლდეს. მეორე კომპონენტი მხოლოდ გადახდისუნარიანობით არ განისაზღვრება, კორპორატიული მართვის საბაზრო ელემენტებს გულისხმობს და სწორედ ამას უნდა მოჰყვეს სადაზღვევო კომპანიების სააქციო საზოგადოებად გარდაქმნა; მესამე კომპონენტს რაც შეეხება, უკვე გადაწყდა, რომ მომავალი წლიდან, სავალდებულო დაზღვევას შემოვიღებთ და სადაზღვევო ინდუსტრიის მომხიბვლელობის სამივე მნიშვნელოვანი ელემენტი შეიკვრება. სადაზღვევო ინდუსტრია საკმაოდ კონსერვატიული დარგია, ამიტომ აქ ვადების გადანაწილებას დიდი მნიშვნელობა აქვს. იურიდიული თვალსაზრისით, სადაზღვევო კომპანიის სააქციო საზოგადოებად გარდაქმნას დიდი დრო არ სჭირდება. მიუხედავად ამისა, კომპანიებს 9 თვე მივეცით, რათა ცვლილება განახორციელონ. ამ 9 თვეში ვეცდებით, შემდგომი საკანონმდებლო ნორმები ისე შევთავაზოთ, ცვლილებებზე ეტაპობრივად გადავიდნენ. ამ ცვლილებებით სადაზღვევო ბაზარი ინვესტორებისთვის მიმზიდველი გახდება.

— ამ ცვლილების საშუალებით, სადაზღვევო კომპანიებში ის სერვისებიც გაიაფდება, რასაც მომხმარებლებს სთავაზობენ?

— ზოგადად, პროდუქტის მიწოდება სადაზღვევო სერვისია და სავალდებულო არ არის, მაინცდამაინც, ანაზღაურება მიიღოთ, რადგან მიწოდებიდან დაწყებული, თქვენ უკვე ამ სერვისების მონაწილე ხართ. ადამიანმა არ იცის, მომავალში ავარიაში მოყვება, თუ ავად გახდება, ამიტომ მომხმარებელი სადაზღვევო სერვისს ლიზინგის რეჟიმში უკვე იღებს და რა თქმა უნდა, ისიც ადეკვატური უნდა იყოს. შესაძლო გარკვეული გართულებების დროს კი აუცილებელია, მომხმარებელმა ადეკვატური ანაზღაურება მიიღოს. რაც შეეხება კითხვას, ის ცვლილებები, რაზეც უკვე გესაუბრეთ, ნელ-ნელა, ეტაპობრივად უნდა დაინერგოს, რომ სადაზღვევო ინდუსტრია განვითარდეს. შესაბამისად, შესაძლოა, ამ ეტაპზე არა, მაგრამ საბოლოოდ, ცვლილებებმა სერვისებზეც იმოქმედოს.

ბინა, რომელშიც გიორგი პაპუაშვილი ცხოვრობს, ნაციონალებმა ასლან აბაშიძის ჩინოვნიკს წაართვეს

მე-6 გვერდიდან

უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებას დღემდე მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი ინარჩუნებს, რომელიც როლანდ ბლადაძის ჩამორთმეულ სახლში ცხოვრობს“.

ყოველივე ზემოთქმულის გარდა, „ახალგაზრდა ადვოკატები“ იმ მოსამართლეების საქმიანობით დაინტერესდნენ, რომლებმაც 2004 წელს როლანდ ბლადაძის უძრავი ქონების ჩამორთმევის გადაწყვეტილება მიიღეს და ამის დასადგენად იუსტიციის საბჭოს მიმართეს, სადაც განუცხადეს, რომ „2014 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, ჯემალ კიკნაძე, დავით ანანიძე, რევაზ ბერიძე და ილია ქამადაძე მოსამართლის უფლებამოსილებას აღარ ახორციელებენ“. კაიკაციშვილის ორგანიზაციამ ასევე გაარკვია, რომ სამმა მოსამართლემ — ილია ქამადაძემ, დავით ანანიძემ და ჯემალ კიკნაძემ თანამდებობა საკუთარი ნებით დატოვეს, რევაზ ბერიძე კი ასაკის გამო გათავისუფლდა.

ძალოვან უწყებებში აღარც ის გამომძიებლები მუშაობენ, რომლებიც როლანდ ბლადაძის წინააღმდეგ წარმოებულ საქმესა და ქონების ჩამორთმევაში მონაწილეობდნენ.

არჩილ კაიკაციშვილის თქმით, ბლადაძის საქმე იმის ნათელი მაგალითია, რომ ნაციონალების მმართველობის დროს, სასამართლო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებდა და ყველაფერი ეს სისტემური დანაშაულის ნიშნებს ატარებს.

„როლანდ ბლადაძის საქმის საფუძვლიანმა შესწავლამ, როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო სამართლის მიმართულებით, სადავოდ მიჩნეულ საკითხებთან დაკავშირებით, მკაფიო გახდა ის გარემოებები, რომლის იგნორირებამაც, დაარღვია მისი ყველაზე მნიშვნელოვანი კონსტიტუციური — სამართლიანი სასამართლოს უფლება, სახელმწიფო ინსტიტუტებმა კი, მოქალაქის დაცვის და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების ნაცვლად, შექმნეს ყველანაირი პირობა, რათა საქმეზე კანონის უზენაესობა პოლიტიკის ავტორთა სუბიექტური გადაწყვეტილებებით შეცვლილიყო“, — ნათქვამია „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ მომზადებულ დასკვნაში.

„ის, რომ ბლადაძე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში საკმარისი მტკიცებულებების გარეშე მისცეს, 2013 წლის აჭარის ა/რ პროკურატურის დადგენილებითაც დადასტურდა. ბლადაძის პასუხისგებაში მიცემა, როგორც ჩანს, იმისთვის სჭირდებოდათ, რომ თავიანთი პოლიტიკური გადაწყვეტილება სისრულეში მოეყვანათ და ბლადაძის ქონება დაუსაბუთებლად, უკანონოდ გამოეცხადებინათ, მისთვის ჩამოერთმიათ და სახელმწიფოსთვის გადაცეათ. დიახ, სახელმწიფომ ბლადაძეს ქონება უკანონოდ ჩამოართვა, რადგან ეს ქონება როლანდ ბლადაძემ 2001 წლამდე ანუ თანამდებობაზე დანიშვნამდე შეიძინა“, — ამბობს „ვერსიასთან“ საუბრისას არჩილ კაიკაციშვილი.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, როლანდ ბლადაძის მაგალითზე, საქართველოს პრეზიდენტსა და მთავრობას რამდენიმე რეკომენდაციით მიმართავენ და მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, რომ პრეზიდენტმა სადავოდ მიჩნეულ ქონებაზე, რომელთა გარშემოც საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს, მორატორიუმი გამოაცხადოს და ამით უკანონოდ შეძენილი ქონების მფლობელთა მხრიდან ქონების გასხვისების პროცესი შეაჩეროს. გარდა ამისა, „ახალგაზრდა ადვოკატები“ გიორგი მარგველაშვილს მოუწოდებენ, პოლიტიკური შეფასება მისცეს მიხეილ სააკაშვილის 2007 წლის 6 ივნისის 285-ე განკარგულებას, რომლის მიხედვითაც, აჭარის ყოფილი მთავრობის წევრებისა და ასლან აბაშიძესთან დაახლოებული პირებისთვის ჩამორთმეული ქონება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცათ.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მიიჩნევენ, რომ მთავრობამ ქონებაჩამორთმეული მოქალაქეების მიმართ სამართლებრივი მოქმედებები უნდა დააჩქაროს და ქონებაჩამორთმეულებს „რეპრესიების მსხვერპლთა“ სტატუსი მიანიჭოს.

„საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს პოლიტიკური და სამართლებრივი გადაწყვეტილება და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის პრეცედენტული გადაწყვეტილების საფუძველზე, განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობაში ახლადაღმოჩენილი და ახლადგამოვლენილი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, სასამართლოებში საქმის განხილვის დასაშვებობის ხანდაზმულობის ვადის გაზრდასთან დაკავშირებით. ასევე, პარლამენტმა უნდა მოახდინოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის პრეცედენტული გადაწყვეტილებასა და საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან, რითიც უზრუნველყოფს ხარვეზის აღმოფხვრას და კანონმდებლობის ჰარმონიზაციას. საქართველოს საერთო სასამართლოებმა კი, უნდა გაითვალისწინონ ქონებაჩამორთმეულთა კანონიერი ინტერესები, საქმესთან დაკავშირებული მიზეზ-შედეგობრივი გარემოებები და შეცვალონ სტრატეგია — დააკმაყოფილონ დაზარალებულთა სასარჩელო მოთხოვნები ჩამორთმეული უძრავი საკუთრების მიმართ ყადაღის გამოყენების თაობაზე“, — აცხადებს „ახალგაზრდა ადვოკატების ლიდერი არჩილ კაიკაციშვილი და მთავარ პროკურატურას მოუწოდებს, ქონებაჩამორთმეულ მოქალაქეებთან ჯეროვანი კონტაქტი ჰქონდეს.

ამასთან, კაიკაციშვილის თქმით, ზემოხსენებული საქმეების გამოძიებაში ისეთი პირები უნდა მონაწილეობდნენ, რომლებსაც სისტემურ დანაშაულთან, თუნდაც გაუთვითცნობიერებული შეხება არ ჰქონიათ.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ თავად ქონებაჩამორთმეულებს კი მოუწოდებენ, საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით, მხოლოდ პროკურატურასთან კი არ ითანამშრომლონ, არამედ გამოძიების დასრულებამდე წართმეული ქონების გასხვისება, გადამალვა, ან გაფლანგვა რომ არ მოხდეს, სასამართლოს მიმართონ და ამ ქონების დაყადაღება მოითხოვონ.

გლდანის ციხეში 28 წლის უდანაშაულო პატიმარს სათესლე ჯირკვლის კიბო დამართეს

ПАТИМАРИ №0578

სიმართლე გითხრათ, ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ყველაზე მეტად ის კადრები მაინტერესებდა, რომელსაც უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა და არჩევნების ბედიც, რეალურად, სწორედ ციხის ამ კადრების გავრცელებით გადაწყდა. როცა ეს კადრები გავრცელდა, ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში ტელევიზორები გამორთეს, ხოლო რადიომიმღებებისთვის ტალღის ჩამხშობი დააყენეს და პატიმრები სრულ ვაკუუმში მოექცნენ. გათიშული იყო ტელეფონებიც. ერთი ეგ იყო, ჯალათობით განთქმული ოფიცრები გაქრნენ და ვინც დარჩნენ, ისინიც ზედმეტად თავაზიანად იქცეოდნენ. სამაგიეროდ, ადვოკატებს ვერ აუკრძალეს შესვლა და ინფორმაცია მაინც ჟონავდა. როცა კადრებზე ჩემს ადვოკატს ვკითხე, ნაღვლიანად შემომხედა და ჩუმად თქვა, არჩევნები „ქართულმა ოცნებამ“ პატიმრების უკანალით მოიგო, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით, დანარჩენს როცა გამოხვალ, თავად ნახავ და მალე რომ გამოხვალ, მაგას გპირდებიო...

თავისუფლებაზე ვნახე კადრები და გამეცინა. თურმე, რეალურად არაფერი გაუვრცელებიათ, რადგან ციხეებში და კონკრეტულად, გლდანის ციხეში იმაზე ბევრად უარესი ხდებოდა, ვიდრე იმ კადრებშია ასახული. ვნახე ლადო ბედუკაძეც, რომელსაც ციხიდან ვიცნობდი და თავად თქვა, მეტი ვერ გამოვიტანე, შენც ხომ იცი, რეალურად რა ხდებოდაო...

2011 წელის 24 აპრილს (შეგიძლიათ, ეს გლდანის ციხის ჟურნალში გადაამოწმოთ), კარანტინის მორიგი დაშლა იყო. იქ იყო ყველა — ალექსანდრე მუხაძიდან დაწყებული, რიგითი „კლუჩნიკებით“ დამთავრებული და ზოგადად, სწორედ „კლუჩნიკები“ ცდილობდნენ, სასტიკად მოქცეოდნენ პატიმრებს, რათა მუხაძის კეთილგანწყობა მოეპოვებინათ, ოფიცრად დაწინაურებულიყვნენ და 110 ლარით მეტი ხელფასი აელოთ. ამისთვის კი პატიმრების სისხლი იყო საჭირო, პატიმრებისა, რომლებსაც განმკითხავ-მომკითხავი არ ჰყავდათ.

კარანტინის ოთახებში, საერთო ჯამში, 208 პატიმარი იყო (შეგიძლიათ, ესეც გადაამოწმოთ), მათ შორის, ერთ-ერთი აშკარად გამოირჩეოდა. ლეჩხუმელი დათო კ. ერთი თავით აღემატებოდა ყველას, განიერი ბეჭები ჰქონდა და აკი, უთხრეს კიდეც პატიმრებმა, ულვაში რომ გქონდეს, არსენა მარაბდელს ჰგავხარო. დათო მშვიდად იღიმოდა, ტორივით ხელებს თავზე ისვამდა და ამბობდა, ახლაც ვერ ვხვდები, რატომ დამიჭირეს, კორპუსს ვაშენებ თბილისში, მუშებისთვის ვაგონი ვიყიდე და მერე, აღმოჩნდა, რომ ის ვაგონი მოპარული იყო და ვისგანაც იყიდე, ანგარიშფაქტურა რატომ არ მოსთხოვეო. ახლა 10 ათასს მთხოვენ საპროცესოში და უნდა გადავიხადო...

როცა პირველი პატიმარი გაიყვანეს და მისმა ღრიალმა ცა გახია, დათო გაფითრდა და ჩუმი ხმით იკითხა: რა ხდება აქ?!

„ყველა პატიმარს სცემენ, შიშის სინდრომი რომ დათესონ. თუ რომელიმე პარლამენტარს არ აქვს დარეკილი, ცემას ვერავინ გადაურჩება“...

„28 წლის ვარ, არავის უცემივარ და არც მე მიცემია, კაცის ცემა როგორ შეიძლება, მე ხელს არ დავარტყმევინებ“, — ჩუმად თქვა დათომ.

დაახლოებით, ასი პატიმრის ცემის შემდეგ, ოფიცრებმა პლასტმასის მილები მოიმარჯვეს, რადგან ხელი დაეღალათ, ახლა ამ მილებით დაიწყეს პატიმრების ცემა. დათოს ჯერიც მოვიდა. მთასავით ვაჟკაცი დაბალ მუხაძეს ზემოდან დასცქეროდა.

„რაზე დაგიჭირეს?!“ — შეუღრინა მუხაძემ.

დათო დეტალებში მოუყვა თავისი საქმის არსს და ისიც უთხრა, სამ დღეში სასამართლო მაქვს და საპროცესოთი გავდივარო. შემდეგ, იქ მდგარ ოფიცრებს მოავლო თვალი და ჩუმად თქვა: მე არავინ მომიკლავს, არ დამიყაჩაღებია, არ მომიპარავს. მე კანონს ვიცავ და ვერ ვხვდები იმის არსს, რასაც თქვენ აკეთებთ. უბრალოდ, გთხოვთ, ხელი არ დამარტყათ...

სიტყვა ბოლომდე არ ჰქონდა დასრულებული, რომ ოფიცერმა, რომელსაც ლაშას ეძახდნენ (სამწუხაროდ, გვარი არ მახსოვს, მაგრამ დაინტერესების შემთხვევაში, ამის გაგებაც შეიძლება), დათოს სილა გააწნა. პატიმარი თითქოს გაოცდა, შემდეგ, გაფითრდა და ხელი მოწყვეტით მოიქნია. ლაშა უკან მდგარ ოფიცრებს დაეჯახა და იატაკზე სამ ოფიცერთან ერთად დავარდა. ყველა დათოს დაესია, მაგრამ მან მუშტები აამუშავა და ახლოს არავინ მიუშვა. ვისაც ხელი მიაწვდინა, ყველა დაბლა დააგდო. გლდანის ციხის მთელი შემადგენლობა საკარანტინო ნაწილში მოვიდა, თუმცა დათო კედელს ზურგით მიეყრდნო და ახლოს არავის უშვებდა. მალე ელექტროშოკი მოიტანეს და დათო იატაკზე დააგდეს, გიენებივით წაესიენ და ცემა დაუწყეს. გონდაკარგულ პატიმართან ბოლოს აზრზე მოსული და მოსულიერებული ლაშა მივიდა და საზარდულში ორჯერ მთელი ძალით ამოარტყა ფეხი. მუხაძემ მესამედ არ დაანება, მოკლავო...

2011 წლის 10 ივნისს, გლდანის საავადმყოფოდან მეექვსე, ე.წ. კრიტის დაწესებულებაში რამდენიმე პატიმარი გადაიყვანეს. იმავე „ვარონკით“ ციხიდან ზონაზე გასანაწილებელი პატიმრებიც მიჰყავდათ და დათო სწორედ იქ ვნახე. ძლივს ვიცანი, ისე იყო დალეული. თავადაც ძლივს გამიხსენა, მეხსიერებაზე მაგრად დამერხაო, თქვა.

„8 წელი მომცეს, ჩემო ძმაო. ოფიცრებზე თავდასხმა დამდეს ბრალად, მთელი გლდანის ციხის შემადგენლობამ დამადო ხელი, ექიმები მოიყვანეს და ოთხ კაცს ტვინის შერყევა დაუდგინეს. თურმე, იმ ლაშამ მერე ქვემოდან ამომარტყა და კიბო მაქვს, 70 კილოზე მეტი დავიკელი, ახლა თვეში ერთხელ მეექვსედან აქ დავყავარ, წამლებს და ქიმიას თუ რაღაც ჯანდაბას მიკეთებენ. ვკვდები, რა და იმას ვნერვიულობ, ცოლის მოყვანა მაინც მომესწრო, შვილი დამრჩენოდა“...

„და საშველი არ არის, გადარჩენის შანსი არ არის?!“

„რა შანსი, ვერ ხედავ, რას დავემსგავსე? თმაც გამცვივდა... ექიმი მეუბნება, მინიმუმ, 6 თვე იცოცხლებო და მე კიდევ ამათ ვეხვეწები, გამიშვით, ეგებ ეს ექვსი თვე ჩემებთან ვიყო-მეთქი, მაგრამ უარი მომივიდა. ჰოდა, ვზივარ და სიკვდილს ველოდები მეექვსე საპყრობილეში“...

***

უკვე ზონაზე გავიგე, რომ დათო გარდაიცვალა, თავისუფლებაზე გამოსვლის შემდეგ კი, ოჯახთან ერთად, გლდანის დასასვენებელ პარკში ვიყავი, როცა პროცესიამ ჩამოიარა. სურათზე ვიცანი, ლაშას მოასვენებდნენ. ახალგაზრდებთან მივედი და ვკითხე, რით დაიღუპა-მეთქი.

„წამალში გაიპარა, აქ არ ცხოვრობს, მაგრამ ნათქვამი ჰქონდა, როცა მოვკვდები, რამდენი წლისაც უნდა ვიყო, გლდანის ციხესთან ამიყვანეთ და იქიდან წამასვენეთო. თავის საქმე უყვარდა ამ საცოდავს“, — ნაღვლიანად მითხრა ერთ-ერთმა ჭირისუფალმა და თავი ჩაქინდრა.

იქვე, გლდანის ეკლესიაში შევედი და დათოს სულის მოსახსენებლად სანთელი დავანთე.

ჩვენებური, რომლის ინიციატივითაც თურქეთის სკოლებში ქართული ენის სწავლება დაიწყო

ართვინელი ედარ ქუჩუკის თურქულ-ქართული თავგადასავალი

ნათია ნოდია

ვისი მხარდაჭერით გაიცა თურქეთის სკოლებში ქართული ენის სწავლების ნებართვა, როგორ იღწვიან საქართველოსთვის და რა გზა გამოიარეს ქართულ ფესვებთან დასაბრუნებლად „თურქეთელმა ქართველებმა“? — ამ კითხვებმა „ვერსია“ ედარ ქუჩუკამდე, იგივე ელიზბარ ციმნარიძემდე მიიყვანა.

— წარმოშობით ართვინის სოფელ მაჭახელადან ვარ — იქ დავიბადე, განათლება კი სტამბოლში მივიღე. დაახლოებით 20 წელია ქართული კულტურის პოპულარიზაციისა და თურქეთის ქართველების იდენტიფიკაციის შენარჩუნებისთვის ვაქტიურობ... ვიცი, რომ დაბადებიდან ქართველი ვარ. თურქული კი მაშინ ვისწავლე, როცა სკოლაში შემიყვანეს... სხვათა შორის, ბაბუაჩემი საქართველოში ხშირად ჩამოდიოდა, მაშინ სარფიდან კი არა, ყარსიდან იყო მიმოსვლა და უკან დაბრუნებული სამშობლოს ამბებს გვიყვებოდა. საქართველოს დიდი სიყვარული, ალბათ, სწორედ ბაბუადან გადმომეცა. სამწუხაროდ, მომავალ თაობებში ჩვენი ენა იკარგება — სოფლებში აღარ ვცხოვრობთ და თურქეთის ქალაქებში, ძალაუნებურად, თურქულს ითვისებენ. ეს, რა თქმა უნდა, ყველას არ ეხება და ჯერ კიდევ ბევრი ახალგაზრდაა დაინტერესებული თავისი ქართველობითა და ენით.

საქართველოში პირველად 2004 წელს ჩამოვედი და საოცარი გრძნობა დამეუფლა — ყველა, დიდ-პატარა მშობლიურ ენაზე ლაპარაკობდა. ახლა საქართველოში ხშირად, თვეში სამ-ოთხჯერ ჩამოვდივარ... სამი შვილი მყავს და თუ რომელიმე საქართველოში დაბრუნებას გადაწყვეტს, გამიხარდება.

— საზოგადოებრივი საქმიანობა როგორ დაიწყეთ და რა სირთულეებს აწყდებით საქართველოსთვის სასიკეთო საქმეების კეთებაში?

— ჩემი პირველი ნაბიჯი ჟურნალ „ჩვენებურს“ უკავშირდება. — 2000 წელს მის სარედაქციო საბჭოში ვირიცხებოდი. ამის შემდეგ, 2012 წელს, მიზნად აჭარის მოჰაჯირთა ასოციაციის ჩამოყალიბება დავისახე. ეს არასამთავრობო ორგანიზაცია, პრაქტიკულად, სტამბოლში გადასახლებული ქართველების სათვისტომო იყო... პროფესიით პროდიუსერი ვარ და ის ჰობი, რაც საქართველოს უკავშირდება, ნამდვილ საქმედ მექცა. „ჩვენებური“ მხოლოდ ჟურნალი არ იყო. ეს ქართველებისთვის მისია იყო — ახმედ მელაშვილის დაარსებული ჟურნალი ბევრ კეთილ საქმეს აკეთებდა. თურქულად იბეჭდებოდა, თუმცა მას ქართული ნაწილიც ერთვოდა. „ჩვენებურის“ პასუხისმგებელი რედაქტორი ცნობილი თურქეთელი ქართველი ოსმან ნური მერჯანი, იგივე ოთარ იმედაშვილი გახლდათ. ჟურნალმა თურქეთში ქართული მეობა გააღვიძა. „ჩვენებურმა“ ერთმანეთთან დააკავშირა და თავი იმ ხალხს მოუყარა, ვინც მომავალში საქართველოსა და თურქეთის ქართველებისთვის ბევრი სიკეთის კეთება შეძლო. რედაქციაში თავს ფარნა დექაჩილაშვილი (ფაჰრეთთინ ჩიმ ოღლუ) — ორენოვანი მწერალი, ქეთინო ხანთაძე (ქევსერ რუჰი), ასევე ცნობილი ბიზნესმენები, ექიმები და სხვა წარმატებული პროფესიის ხალხი იყრიდა. ჩვეთან, რა თქმა უნდა, ბაიარ შაჰინიც თანამშრომლობდა.

„ჩვენებურს“ მოჰყვა ორენოვანი ჟურნალ „ფიროსმანის“ გამოცემა. შემდეგ, დავაარსეთ ინტერნეტჟურნალი და ინტერნეტრადიო „ჩვენებური“. თურქეთელი ქართველები ერთმანეთს სოციალურ ქსელებში ვეხმიანებით და მნიშვნელოვან საკითხებსაც ვაგვარებთ. ცვენებური.ნეტ შეგიძლიათ, საქართველოშიც ნახოთ.

— როგორც ვიცი, თურქეთის სკოლებში ქართული შესწავლის საკითხი სწორედ თქვენი ინიციატივით დაისვა...

— 2010 წელს ქართული კულტურის სახლი დავაფუძნეთ. უფრო ორგანიზებულები, აქტიურები გავხდით და საკუთარი სივრცეც მოვითხოვეთ. როცა მოვმძლავრდით, თურქეთის განათლების სამინისტროს მივმართეთ მოთხოვნით, რომ საშუალო სკოლებში ეთნიკურ ქართველებს დედა ენის სწავლის საშუალება მისცემოდათ. ჩვენმა საქმიანობამ შედეგი გამოიღო და დამტკიცდა: თურქეთის ნებისმიერი რეგიონის ნებისმიერ სკოლაში, ქართული ენის შესწავლის მსურველი ათი ბავშვიც რომ იყოს, ქართული ენის კლასი უნდა გახსნან. ეს ინიციატივა მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე კლასებზე ვრცელდება. ჩემთან ერთად, ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის მწერალ ქევსერ რუჰს, იგივე ქეთინო ხანთაძეს, რომელმაც შესაბამისი პროგრამა მოამზადა. ბევრჯერ მომიწია ანკარაში ჩასვლა, კომისიას კომისიაზე გვახვედრებდნენ. საბოლოოდ, ეს საქმე მაინც გავაკეთეთ.

— ბატონო ელიზბარ, თურქეთის ტელევიზიაში ქართული გადაცემის ავტორიც ხართ. „კავკასიის ქარი“ თურქეთში პოპულარულია?

— ერთი წელია, „კავკასიის ქარი“ თურქეთის ადგილობრივი ტელევიზიით გადის. უკვე 30-წუთიანი ოცდათვრამეტი სერია გადავიღეთ, საქართველოს ყველა რეგიონი წარმოვადგინეთ: მოცეკვავეები, მომღერლები... მოკლედ, ქართული ფოლკლორი გავაშუქეთ. სწორედ ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციას ემსახურებოდა და მხარს უჭერდა ეს პროექტი. „კავკასიის ქარის“ მეშვეობით, ქართული კულტურა არა მხოლოდ თურქეთში, არამედ, მთელ მსოფლიოში კიდევ უფრო პოპულარული გახდება და სწორდ ეს იყო და არის ჩვენი, თურქეთელი ქართველების აქტიურობის მიზეზი.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲞᲐᲖᲚᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

	5		1			3		
		2	9		6	8		
							4	
				4			2	5
	2	5				7	3	
7	6			5				
	4							
		3	8		1	4		
		1			5		9	

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

					6	9		7
			5				3	
3						6		5
	1			6	4			3
		5	2		8	1		
6			1	5			2	
5		7						6
	9				3			
1		2	8					

ᲠᲗᲣᲚᲘ

6							5	4
5	4				8	1		
				5		3	2	
		3			9	7		
	7			3			4	
		1	7			2		
	1	9		2				
		5	1				9	2
2	8							7

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

3		4			8			
2		1	7		4			8
		6		5				
	3				2			
	9			4			6	
			6				1	
				2		7		
7			4		5	9		6
			3			8		2

მიირთვით ყავა საკუთარი პორტრეტით

გსურთ, ფინჯან ყავაში საკუთარი თავი დაინახოთ? საამისოდ ტაივანზე მდებარე კაფეს Let's Cafe უნდა ესტუმროთ და თავად დარწმუნდებით, როგორ შესანიშნავ პორტრეტებს ქმნიან არომატული ყავის ჭიქებში აქაური ბარმენები. ამ სახელწოდების კაფეების ქსელი პატარა, მყუდრო დაწესებულებებია, რომლებიც მუდმივად სადღაც მოჩქარე კლიენტებს „სწრაფ, მაგრამ გემრიელ ყავას“ სთავაზობს. ბაზარზე უზარმაზარი კონკურენციის გამო, მფლობელებმა გადაწყვიტეს, ახალი რამ მოეფიქრებინათ, რითიც მომხმარებელს მიიზიდავდნენ — საკმარისია, საკუთარი ტელეფონიდან გაგზავნოთ ფოტო ბარმენის სპეციალურ ყავის აპარატზე. მას შემდეგ, რაც ყავა უკვე მზად იქნება, საკვებად ვარგისი მელნით სავსე აპარატი, სასმელის ქაფზე თქვენს გამოსახულებას დაბეჭდავს. ახლა კაფეს კლიენტები ერთს კი არა, რამდენიმე ფინჯან ყავას უკვეთავენ, იმის სანახავად, როგორი გამოსახულება გამოვა შემდეგ ჯერზე. ზოგიერთებს კი ისე მოსწონთ საკუთარი გამოსახულება, რომ შეკვეთილი ყავის დალევა ენანებათ.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

8	5	6	2	7	4	3	1	9
7	4	2	3	9	1	8	6	5
3	1	9	8	6	5	7	4	2
5	3	1	7	8	9	6	2	4
9	6	4	5	3	2	1	8	7
2	8	7	1	4	6	9	5	3
6	9	8	4	2	3	5	7	1
4	7	5	9	1	8	2	3	6
1	2	3	6	5	7	4	9	8

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

8	4	9	3	6	5	7	2	1
3	2	6	7	4	1	5	9	8
7	5	1	9	2	8	4	3	6
4	1	8	6	5	2	3	7	9
9	7	5	1	3	4	8	6	2
2	6	3	8	9	7	1	4	5
6	3	7	5	1	9	2	8	4
5	9	2	4	8	3	6	1	7
1	8	4	2	7	6	9	5	3

ᲠᲗᲣᲚᲘ

6	5	7	4	9	3	8	2	1
3	2	9	1	6	8	7	5	4
1	4	8	7	2	5	6	9	3
2	9	1	3	7	4	5	8	6
8	7	6	5	1	2	4	3	9
5	3	4	9	8	6	2	1	7
9	1	5	2	4	7	3	6	8
7	8	3	6	5	1	9	4	2
4	6	2	8	3	9	1	7	5

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

6	2	3	5	1	7	4	9	8
1	9	8	4	6	3	2	7	5
7	5	4	2	9	8	6	1	3
9	7	6	8	5	4	3	2	1
5	4	2	3	7	1	9	8	6
8	3	1	9	2	6	7	5	4
2	1	7	6	4	5	8	3	9
4	8	9	1	3	2	5	6	7
3	6	5	7	8	9	1	4	2

მე-10 გვერდი: 1. ვიენტიანი; 2. დჰაულაგირი; 3. ღამე; 4. ბიღი; 5. ვენდეტა; 6. ევრიდიკე; 7. ტოფუ; 8. ამბორი; 9. იდალგო; 10. დეჰყანი; 11. გიგა; 12. რალი; 13. ანდროფობია; 14. რაისა; 15. უთო; 16. ლიუგერი; 17. ოფი; 18. ნანსუკი; 19. უდმურტეთი; 20. იასაული; 21. ვერდი; 22. რიგელი; 23. ოპალი; 24. ტაისონი; 25. აფაკია; 26. ორაგული; 27. ელი; 28. რეი; 29. დიქცია; 30. პარაბოლა; 31. არონა; 32. გადია; 33. აზუ; 34. სემინოლები; 35. სტივ; 36. ქიმია; 37. ზეობა; 38. „იზა“; 39. დარასელია; 40. ანა; 41. სოლ; 42. მეგ; 43. ლუქსი; 44. აირი; 45. აული; 46. სელი; 47. სამასი; 48. ერმაკი; 49. ქობულეთი; 50. ლამა; 51. ეგერი; 52. გოტიე; 53. ლიტა; 54. ლეი; 55. წადილი; 56. სიმილაკი; 57. სალტო; 58. გრავე; 59. „ტიიდა“; 60. ასა; 61. წითელა; 62. აკიმი; 63. ადა; 64. აურა; 65. ბურთი.

ᲚᲣᲓᲘᲡ ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘ ᲩᲐᲛᲝᲖᲘᲡᲡᲐᲗᲕᲘᲗ

უკრაინელებმა ტურისტების მოზიდვის ახალი მეთოდი მოიფიქრეს. ქალაქ ლვოვის ერთ-ერთ ბარში ლუდის აპარატი დადგეს, რომელიც ვენერას ქანდაკებას ჰგავს, სასმელი კი მისი მკერდიდან მოედინება. იმისთვის, რომ ქარვისფერი სასმელი მიირთვათ, ქანდაკებას მკერდზე ძალიან ნაზად უნდა შეეხოთ. თუ ყველაფერს სწორად გააკეთებთ, ლუდი გარანტირებული გაქვთ, — აცხადებს ბარის წარმომადგენელი. ქანდაკების მკერდში სპეციალური სენსორია, რომელიც განსაზღვრავს, როგორ შეეხონ უცნაურ აპარატს სასმელის დალევის მსურველები. სკულპტურას თავი არ აქვს, რადგან, ავტორის განცხადებით, კლიენტებმა სასურველი ქალი წარმოიდგინონ. ლუდის ჩამოსასხმელი ეს უჩვეულო აპარატი უკვე საკმაოდ პოპულარულია მანდილოსნებშიც კი.

ᲠᲝᲓᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲥᲐᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲝᲛᲮᲘᲑᲕᲚᲔᲚᲘ

მამაკაცების მოსაზრებით, სუსტი სქესის წარმომადგენლებს აქვთ იდეალური ასაკი. სწორედ ამ ასაკის დადგენა განიზრახეს ფინელმა სწავლულებმა ტურკუს უნივერსიტეტიდან. აღმოჩნდა, რომ ქალის მომხიბვლელობის ხანა, ნებისმიერი ასაკის მამაკაცისთვის 23-დან 28 წლამდეა, იდეალი კი — 24-25 წელი. რაც შეეხება საპირისპირო სქესის მიმართ ამ მხრივ ქალების დამოკიდებულებას, რთულადაა საქმე. ქალბატონებს თანატოლი მამაკაცები მოსწონთ. გამოკითხვაში მონაწილეობა 12500-მა ადამიანმა მიიღო. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ქალის იდეალური ასაკის დასახელებისას კაცების ერთსულოვნება ევოლუციური მექანიზმის დამსახურებაა. ევოლუციის გავლენა ქვეცნობიერია. ყველაფერი მარტივია: 25 წლის ასაკში მანდილოსნებში ფერტილურობის პიკია, ანუ შვილის გაჩენის შანსი მაქსიმალურია, ხოლო ქალების მიერ თანატოლი კაცების არჩევა მეტ სტაბილურობას უკავშირდება.

1. დეკორატიული მარადმწვანე ბუჩქი
2. იგივეა, რაც მზესუმზირა
3. ირიბი ხაზი ოთხკუთხედში
4. ჩვენი უწმინდესის სახელი
5. სამკარედიანი ხატი
6. მოაჯირის ფიგურული სვეტი
7. ქაღალდის „წინაპარი“
8. ესკიმოსთა ყინულის ქოხი
9. თავდაცვითი ნაგებობა, ძელმიწური
10. ახალგამოჩეკილი თევზი
11. სტროფული სალექსო ფორმა
12. „მაღალ საზოგადოებაში“ მიღ. წესები
13. მექსიკის საკურორტო ქალაქი
14. დუმილის კანონი მაფიაში
15. ჭუჭრუტანიდან შემოსული სხივი
16. მცირე მანძილის საზომი ერთეული
17. ზრდილობიანი დასტურის გამომსატყველი სიტყვა
18. ინგლისის საინფორმ. სააგენტო
19. სპილოს „ცხვირი“
20. ცხვრის ჯოგი
21. ისტორიული ოლქი ეგვიპტეში
22. მცენარეთა სამყარო
23. ურანის თანამგზავრი
24. თანაბ. ანგარიში
25. მიწისქვეშეთის მდინარე ბერძ.მით.
26. აიდაჰოს შტატის დედაქალაქი
27. გზის საფარი
28. იგივეა, რაც ბებია
29. კლუბ „იუვენტუსის“ ქალაქი
30. მასრჩობ. გველი
31. პატარძ. თავსაბურავი
32. ილუზიონისტის ტრიუკი
33. თანამედროვე ბრაზილიელი მწერალი
34. დაფქვის საზღაური წისქვილში
35. დიზაინერი ...-სენ ლორანი
36. ვულკანის „ძაბრი“
37. გემის მზარეული
38. იგრეკის „კოლეგა“ მათემატიკაში
39. ფეხსაცმლის ძირის დეტალი
40. „ნაუტილუსის“ კაპიტანი
41. ყვავილის მდედრობითი სასქესო ორგანო
42. მეტროს სახელწოდ. აშშ-ში
43. გვარის, ტომის მამამთავარი
44. ნოტიო და ჩახურებული ფქვილი
45. მზის ღმერთი ინკების მითოლოგ.
46. დათვის ნაშიერი
47. ფინიკიელთა მთავარი ქალღმერთი
48. უმცირესი ორნიშნა რიცხვი
49. ძვ. ფრანგული სიგრძის საზომი
50. მსახიობი ლეონარდო დი ...
51. საჭმელების სია
52. ამერიკელი ჩოგბურთელი ჯიმ ...
53. ისტორიის მუზა
54. გამოუწვავი აგური
55. „ილიადაში“ აღწერილი ლეგენდარული ქალაქი
56. გაზაფხულის ყვავილი
57. პირველი კოსმონავტის სახელი
58. მილა იოვოვიჩის კინოროლი
59. ადამის პირველი ცოლი ებრაულ მითოლოგიაში
60. კომკავშირის აბრევიატურა
61. მსახიობი ... ბროსნანი
62. თონეში ჩავარდნილი და ნაკვერჩხლებზე გამომცხვარი პური
63. პატარა საწნახელი

ფეხსაცმელი ყველა შემთხვევისთვის

თანამედროვე მსოფლიოში, კომპანიების უმრავლესობაში მოქმედებს დრეს-კოდი, რომლის მიხედვითაც ქალს ქუსლიანი ფეხსაცმელი უნდა ეცვას, თუმცა მთელი დღე მაღალ ქუსლებზე დგომა ნებისმიერი მანდილოსნისთვის დამღლელია. რასაკვირველია, არავის აუკრძალავს გამოსაცვლელი ფეხსაცმელი — ბევრი ასეც იქცევა, გზაში უფრო მოხერხებულ ფეხსაცმელს იცვამს, საზოგადოებრივ ტრანსპორტში თუ ქუჩაში თავისუფლად რომ გადაადგილდეს, მაგრამ სათადარიგო ფეხსაცმლით სიარული არც ისე მოსახერხებელია. სწორედ ამიტომ, ამერიკელმა დიზაინერებმა — კენდის კეიბმა და ნადინ ლუბკოვიცმა სუსტი სქესისთვის უჩვეულო ფეხსაცმელი შექმნეს, რომელსაც ქუსლი ეცვლება. სიახლეს Day2Night Convertible Heels უწოდეს და იმისთვის შეიქმნა, რომ დილით ჩაიცვათ და ღამით გაიხადოთ. ამ პრაქტიკული ფეხსაცმლის შექმნა კი დიზაინერებს ერთ-ერთ მივლინებაში მგზავრობამ შთააგონა — ერთ ჩემოდანში ნებისმიერი სიტუაციისთვის მორგებული რამდენიმე წყვილი ფეხსაცმელი ვერ ჩაატიეს. ასე მოაფიქრდათ ერთი და იგივე ფეხსაცმელზე ქუსლის სიმაღლის რეგულირება. უკან დაბრუნებულებმა კი ჩანაფიქრის რეალიზება გადაწყვიტეს და შედეგად მეტად პრაქტიკული პროდუქტი შექმნეს.

სანათი ამპუტირებული ფეხისგან

53 წლის ჰოლანდიელმა მამაკაცმა, დიდი წვალების შემდეგ, დაითანხმა მედიკოსები, მისი ამპუტირებული ფეხისგან დიოდური სანათი დაემზადებინათ. სურვილის ასრულების შემდეგ კი ის ინტერნეტ-აუქციონზე გაიტანა გასაყიდად. 2012 წელს ლეო ბონტენმა ფეხი უბედური შემთხვევის დროს დაიზიანა, ორი წლის შემდეგ კი მისი ამპუტაცია გახდა საჭირო. ლეო სასტიკი წინააღმდეგი იყო ფეხის მოკვეთის და ოპერაციაზე მხოლოდ იმ პირობით დათანხმდა, რომ ნებას მისცემდნენ, მოკვეთილი კიდურისგან ტორშერი დაემზადებინა. მედიკოსები, მრავალჯერადი კონსილიუმის შემდეგ, პაციენტის ულტიმატუმს დათანხმდნენ. ოპერაციის შემდეგ მან მართლაც დაამზადებინა ფეხისგან დიოდური სანათი და მის გაყიდვას ინტერნეტ-აუქციონზე შეეცადა. მიღებული თანხით კი ის პროთეზის შეძენას აპირებდა. თუმცა, საიტის ადმინისტრაციამ ბონტენის ლოტი აუქციონიდან მოხსნა, რადგან იკრძალება ადამიანის სხეულის ნაწილებით ვაჭრობა.

ყველაზე სტრესული პროფესიები

მსოფლიოში ბევრი ისეთი სამსახური არსებობს, სადაც ადამიანი საკუთარი ნერვების ხარჯზე მუშაობს. ცოტა ხნის წინ ცნობილმა ბრიტანულმა გამოცემამ The Sun ყველაზე სტრესული პროფესიების ათეული გამოავლინა. ჩამონათვალი, შესაძლოა, უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ნისლიანი ალბიონის მცხოვრებლებმა, გამოკითხვისას, სხვადასხვა სტრესული ფაქტორი გაითვალისწინეს — კონკურენცია, ფიზიკური მოთხოვნები, ჯანმრთელობის საფრთხე, რეიტინგში ადგილები კი ასე გადანაწილდა: 1. კერძო ავიახაზების პილოტი — პილოტის სამსახური საკმაოდ სტრესულია, მასზე უამრავი მგზავრის სიცოცხლეა დამოკიდებული. გარდა ამისა, ფრენას ხმელეთიდან აკონტროლებენ. როცა პილოტი ცაში არ არის, მშვიდადაა, აფრენისას კი კვლავ ძლიერი სტრესის ქვეშ ექცევა. ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ ემოციების ასეთი სწრაფი ცვლა ადამიანის ორგანიზმისთვის სახიფათოა; 2. საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები — ეს ადამიანები მთლიანად კლიენტებზე არიან დამოკიდებულნი. მუშაკის წარმატება და წარუმატებლობა სწორედ კლიენტის ნებას ექვემდებარება. მოკლედ, მათი ბედი სხვის ხელთაა; 3. კომპანიის ხელმძღვანელის პოსტი — მათ მაღალი ხელფასი აქვთ, მაგრამ ეს ერთ-ერთი ყველაზე მძიმე სამუშაოა, რომელიც ბიზნესის ღრმა ცოდნას, ტენდენციების გათვალისწინების ნიჭსა და სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარს მოითხოვს; 4. ფოტოჟურნალისტი — ეს ადამიანები სიცოცხლეს საფრთხეში ხშირად იგდებენ, ზოგი 24 საათის განმავლობაში მუშაობს, გარდა ამისა, მსოფლიოს ამა თუ იმ ცხელ წერტილში, შესაძლოა, გაურკვეველი ვადით დატოვონ; 5. ასეთივე დღეში არიან ჟურნალისტები და ტელეწამყვანები — საინფორმაციო ბიზნესი დაძაბულ რეჟიმს მოითხოვს. ისინიც კვირაში 7 დღე 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ და ხშირად დავალებების შესრულება სპეციალური მომზადების გარეშე უწევთ. მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების კურსში მუდმივად უნდა იყვნენ, რასაც დიდი სტრესი ახლავს; 6. რეკლამის სპეციალისტები — აუდიტორია მუდმივად იცვლება, რეკლამის სპეციალისტები კი ამისთვის ყოველთვის მზად უნდა იყვნენ, რაც კლიენტებთან მუდმივ კონტაქტს მოითხოვს; 7. არქიტექტორები — ამ პროფესიის ადამიანების ცხოვრების წესმა ბოლო დროს პიკს მიაღწია, რაც სამშენებლო პროექტების შემცირებამ განაპირობა. არქიტექტორები მუდმივად კონკურენციაში არიან ჩაბმულები, რაც ნერვულ სისტემაზე უარყოფითად აისახება; 8. საფონდო ბირჟის ბროკერი — ეს მეტად დაძაბულ სამუშაოდ ითვლება, რადგან გადაწყვეტილების სწრაფად მიღება ევალებათ; 9. სასწრაფო დახმარების პერსონალი — სასწრაფოს მუშაკები პასუხს აგებენ ადამიანის სიცოცხლეზე, შესაბამისად, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები გამუდმებით სტრესულ სიტუაციაში მუშაობენ; 10. უძრავი ქონების აგენტები — ამ პროფესიის ადამიანების მთავარი პრობლემა დროის სიმცირეა. მათ დადგენილი აქვთ ვადა, რა დროშიც უნდა გაყიდონ ესა თუ ის ობიექტი, რის გამოც სულ დაძაბულები არიან.

სუდოკუ

ადვილი

	7		3	8		1		
			9	7	6			4
						3		
	1						5	7
	9			5			1	
8	5						6	
		2						
6			1	2	8			
		7		9	4		2	

სტანდარტი

		2		1		7		
				2			3	8
			7		5		1	
3							8	
		4	5		6	9		
	7							3
	1		8		4			
2	6			5				
		7		6		3		

რთული

		8						9
1		6						2
		2		3	9			
4				2		9		
	8			1			4	
		7		4				8
			2	9		1		
8						5		7
7						2		

ექსპერტი

7			4					
9				6		2		3
		2			5			4
		9	8	7		5		
	7		2		4		1	
		6		1	9	4		
3			1			6		
6		7		4				1
					3			9

გულის პრობლემები ამელიორტებს

იაპონელი მეცნიერების აზრით, მამაკაცებს, რომლებიც მელოტ-დებიან, გულის პრობლემები თმიანებზე ხშირად აწუხებთ. 37 ათასი ადამიანის გამოკვლევების შედეგად სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ თმაგაცვენილი მამაკაცების 32%-ზე მეტს გულის იშემიური დაავადებები აღენიშნებოდათ. ბრიტანული ორგანიზაცია „გულის ფონდის“ წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ მამაკაცებმა ყურადღება არა თმას, არამედ წელის ზომას უნდა მიაქციონ. ძლიერი სქესის ნახევარს თმა 50 წლის ასაკში უთხელდება, 70 წლისას კი სრული ცვენა ეწყება. ტოკიოს უნივერსიტეტის მკვლევარებმა თმის ცვენა გულის დაავადებებს დაუკავშირეს. მათი თქმით, თავის შიდა ნაწილში, ე.წ. გვირგვინზე შეთხელება სწორედ გულის კორონარულ დაავადებებთან ასოცირდება. თუმცა, ეს საბოლოოდ დადასტურებული არ არის. ზუსტი მიზეზის დადგენამდე უმჯობესია, მამაკაცმა ყურადღება გაამახვილოს დიეტასა და ფიზიკურ დატვირთვაზე, გულსისხლძარღვთა დაავადების განვითარების რისკი რომ შეამციროს.

ბიჭს 232 კბილი ამოუღეს

ინდოელ ახალგაზრდას ქალაქ მუმბაიში ექიმებმა საკმაოდ რთული ოპერაცია ჩაუტარეს და ყბიდან 232 (!) ზედმეტი კბილი ამოუღეს. 17 წლის აშიკ ჰავაის წელინადნახევრის განმავლობაში კბილის ტკივილი პერიოდულად აწუხებდა, თუმცა მშობლიურ სოფელში მედიკოსებმა ვერაფერი უშველეს, მუმბაის კლინიკაში მისულს კი დანტისტებმა ყბაში სიმსივნე აღმოუჩინეს, რომელიც წვრილი კბილებით იყო სავსე. სპეციალისტებმა თანდაყოლილი რთული ოდონტომის დიაგნოზი დაუსვეს, რაც ნიშნავს, რომ ღრძილში ნორმაზე მეტი კბილი ამოდის. როგორც კლინიკის ხელმძღვანელი აცხადებს, ახალგაზრდას ურთულესი ოპერაციის გადატანა მოუხდა, რომელიც შვიდი საათი გაგრძელდა. ყბის ძვალში მარგალიტის სტრუქტურის მსგავსი წარმონაქმნიც აღმოუჩინეს, რომელიც დაშალეს და ნაწილ-ნაწილ ამოუღეს. სპეციალისტების თქმით, დღემდე სიმსივნური წარმონაქმნიდან ამოღებული კბილების რეკორდული რაოდენობა 37 იყო, მაგრამ რაც მათ ამ ბიჭის შემთხვევაში იხილეს, უპრეცედენტოა.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

საკვები დანამატი შიმშილის გრძნობას კლავს

ბირმინჰემის უნივერსიტეტის სწავლულებმა ახალი გელი შექმნეს, რომელმაც, შესაძლოა, დიეტოლოგიაში ნამდვილი რევოლუცია მოახდინოს. ორი ინგრედიენტისგან შემდგარი ნაერთი, კუჭის წვენთან კონტაქტის შემდეგ, გადაიქცევა ჟელედ და ფართოვდება. მას ორგანიზმი ძნელად ინელებს და კუჭში რჩება, რის გამოც ადამიანს შიმშილის შეგრძნება დიდი ხნის განმავლობაში არ უჩნდება. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მომავალში მათი გელი გახდომის მსურველთათვის შეუცვლელი გახდება. ექსპერტების თქმით, თანამედროვე საკვების პრობლემა ისაა, რომ ძალიან რბილია, ორგანიზმი სწრაფად ინელებს და კუჭი მალე ცარიელდება. ამის გამო ადამიანები ვერ ზომავენ საკვების რაოდენობას და ხშირად უწევთ ჭამა. გელის შექმნისთვის გამოიყენებენ ჰიდროკოლოიდებს, რომელიც მჟავასთან რეაქციაში შედის. მას წყალმცენარეების, სახამებლისა და ცედრასგან ამზადებენ. ნაერთი წყალში ხსნადი წებოვანი მასა გამოდის. სპეციალისტები ამბობენ, რომ გელი ორგანიზმისთვის აბსოლუტურად უსაფრთხოა, ადამიანს დანაყრების შეგრძნებას უქმნის, თუმცა ენერგიის წყაროს — შაქარს ვეღარ იღებს. ამჟამად სწავლულები სწორედ ამ პრობლემის გადაჭრაზე მუშაობენ.

ქალმა მესამე „მკერდი“ მიიკერა



21 წლის ფლორიდელმა ჟასმინ ტრიდევილმა უჩვეულო პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა — ბუნებრივ მკერდს მესამე მიამატა. გოგონამ ძლივს იპოვა სპეციალისტი, რომელიც ამ უჩვეულო ახირებას სისრულეში მოიყვანდა. როგორც ჟასმინი აცხადებს, ოპერაციის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ პოპულარობისა და ბევრი ფულის შოვნის სურვილი ჰქონდა. კიდევ ერთ მიზეზად მამაკაცებთან ურთიერთობის სურვილის არარსებობას ასახელებს. ტრიდევილი აპირებს, უახლოეს მომავალში საკუთარი რეალითი-შოუ გააკეთოს, ჯერჯერობით კი მხოლოდ რამდენიმე გადაცემაში მიიწვიეს სტუმრად. პლასტიკურ ოპერაციაზე ჟასმინმა 20 ათასი დოლარი დახარჯა, მთავარი სირთულე კი, როგორც აღვნიშნეთ, ქირურგის მოძებნა იყო, ვინც მისი ოცნების ასრულებას დათანხმდებოდა.

1. ქვეყანა სამხრეთ აზიაში
2. კბილის რბილი ქსოვილების ანთება
3. ფერადი კენჭებისგან შედგენილი სურათი
4. „პეპი გრძელიწინდას“ ავტორი
5. ცისარტყელას ქალღმერთი
6. ბალეტის ან ოპერის საორკესტრო შესავალი
7. ხატოვანი დამწერლობის ელემენტი
8. სიმინდის ყვავილედი
9. უნაგირის ნაწილი
10. მედუზის სახეობა
11. მდინარე დასავლეთ ევროპაში
12. ხის ცხენით დაპყრობილი ქალაქი
13. ძალღონე, ქანცი
14. ათენას მიერ ობობად ქცეული გოგონა
15. (საუბ.) ბედი, იღბალი
16. იმპატენციის სამკურნალო წამალი
17. ეგვიპტის ფარაონი, ნეფერტიტის მეუღლე
18. ოსკარ უაილდისეული დორიანის გვარი
19. ზოდიაქოს ნიშანი
20. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი
21. „იუვენტუსის“ მეკარე
22. ცირკის მოედანი
23. ავეჯის მოძრავი ყუთი
24. ფრანგი ფერმწერი
25. შლამის თევზი
26. მთვარის ღმერთი ხეთურ მითოლოგიაში
27. აბრეშუმის ჭიის საყვარელი მცენარე
28. დათვის ნაშიერი
29. სანთლების დამნთები ეკლესიაში
30. ძვირფასმატყლიანი ცხვრის ჯიში
31. ხორციანი კორკოტი
32. ფრონტის გასწვრივ გამავალი გზა
33. ინფექციებისაგან ორგანიზმის დაცვის უნარი
34. ჰავაელთა მინიგიტარა
35. მთავარი მსაჯი
36. დიდი მუწუკი
37. ელგუჯას სატრფო ყაზბეგის მოთხრობაში
38. მიმართვა გერმანელი ქალბატონისადმი
39. ძველი რომის იმპერატორი
40. ქვეყნის წარსული
41. კრივის მოედანი
42. მდინარე იტალიაში
43. ქართული ყოველკვირეული ჟურნალი
44. ცირკის მასხარა
45. ვაჟას „პასტრიონის“ ერთ-ერთი პერსონაჟი
46. სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში
47. ექთანი „თეთრ ბაირაღებში“
48. ქარების მბრძანებელი ბერძნულ მითოლოგიაში
49. უბედურების საერთაშორისო სიგნალი
50. უფალი -ებრაულად
51. არგენტინელი ფეხბურთელი ერნან ...
52. გამოფენის ექსპონატების მოსათავსებელი დაფა
53. ჩვილი ბავშვის პირველი სიტყვა
54. მაუგლის მეგობარი პითონი
55. წარსულში ცნობილი ქართული კვარტეტი
56. სომხური ეროვნული საკონდიტრო ნაწარმი
57. მტკვრის უდიდესი შენაკადი
58. ფაშისტური გერმანიის სამხედრო დაზვერვა
59. სუბტროპიკული ხილი
60. ინკვიზიციის უმცროსი მსახური
61. პლანეტა იუპიტერის თანამგზავრი
62. სოფელი ოჩამჩირის რაიონში
63. ავსტრალიური სირაქლემა
64. მხატვრების საყვარელი ქუდი
65. ჯონ ლენონის ქვრივი იოკო ...
66. ხუთი - ბერძნულად
67. მარადმწვანე ბუჩქი
68. მექსიკის ვალუტა
69. მონღოლთა ბანაკი
70. ირანის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი
71. ესპანელი ფეხბურთელი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მეკარე დავიდ დე ...
72. ციხე, სადაც აბატი ფარია იჯდა
73. ჯგუფ „U2“-ს ლიდერი
74. ბალახის ჩრდილი
75. თუთიყუშის ჯიში
76. ედგარ ბეროუზის ლიტერატ. გმირი
77. საყანედ გაკაფული ტყე
78. პერუს დედაქალაქი
79. საგანთა ჩამონათვალი
80. ესპანეთის ქალაქი-მუზეუმი
81. არასამუშაო, დასვენების დღე
82. ჭკუასუსტობის უმაღლესი ხარისხი
83. უპირატესობის მიცემა
84. კედლის ჭაღი
85. ძაბრისებური ჩაღრმავება ვულკ. თავზე
86. ისტორიული მხარე სამხრეთ საქართველოში

მობილურის გამო სამსახურში დააგვიანეს

ისრაელის ათასობით მოქალაქემ სამსახურში იმის გამო დააგვიანა, რომ მათი მობილური ტელეფონები თავისით გადავიდა ზამთრის დროზე, არადა, ქვეყანაში საათი ოფიციალურად არავის გადაუწევია. ერთი წლის წინ ისრაელში მიიღეს კანონი ზაფხულის დროის ერთი თვით გაგრძელების თაობაზე. სპეციალისტებმა ცვლილების შესახებ აუწყეს სმარტფონებისა და კომპიუტერების მწარმოებელ კომპანიებს, რომელთაც უნდა შეესწორებინათ ამ მხრივ აპარატი, თუმცა განახლება მხოლოდ ბოლო მოდელებს შეეხო. დანარჩენ მომხმარებლებს კი ზამთრის დროის დადგომა ამცნეს და ამის გამო თითქმის ყველამ სამსახურში ერთი საათით დააგვიანა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.